

J 3849

3

უცხოეთის ლიტერატურა.

ჰერბარტ ჰაუპტმანი

ავადმყოფი ხალხი

დრამა 2 მოქმედებად.

ვალერიან გუნიას ნათარგმნი.

გამოცემა
ვიქტორ მატრადისა.

სტამბა მ. კიკნაძისა, ნიკ. ქუჩა № 6.
1908.

Дозволено цензурою, Тифлисъ 1907.



ჰერგარტ ჰაუპტმანი.

ჰერგარდ ჰაუპტმანი.

გაუპტმანი (Hauptmann) ამ ეპოქაში ითვლება ერთს საუკეთესო და გამოჩენილ დრამატურგად მსოფლიო მწერლობაში.

გაუპტმანისთანა მძლავრი და ხელოვანი დრამატურგი იბსენის შემდეგ ამ ხანად არავინ არის ქვეყნიერებაზე. მართალია, ზოგნი მისი ნიჭისა და ხელოვნების პატივისმცემელი მას თვით შექსპირსაც უტოლებენ, მაგრამ შექსპირს რომ თავი დავანებოთ, გაუპტმანი მაინც როგორც ზემოდ ვსთქვით ერთი უდიდესი მწერალთაგანია და იგი ღირსეულად მხარს უჭერს და იქმნება მალადაც იდგეს დრამატურგიის ისეთს ბუმბერაზე როგორც მაგალითად იბსენი, სტრინდბერგი, მეტერლინკი, პშიბიშეფსკი, ბიერსტონი, დანუნციო.

გაუპტმანი შედარებით ჯერ ახალგაზდა მწერალია. ხუთმეტი წელიწადია რაც იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა და ამ მცირე ხნის განმავლობაში მან მსოფლიო სახელი მოიპოვა, მისი სახელი ერთნაირს დიდებით იხსენიება როგორც ევროპაში ისე ამერიკასა და აზიაში.

გაუპტმანი დაიბადა გერმანიის სილეზიაში ობერზალცბრუნში 1862 წ. 15 ნოემბერს. მისი წინაპრები ფეიქრები იყვნენ. ყმაწვილობაში გაუპტმანი მაინც და მაინც ვერ იყო სწავლა-განათლების მეცადინე. თექვსმეტი წლისამ ძლივს გაათავა საშუალო სკოლა. მერე ბიძა მისმა გუსტავ შუბერტმა აიყვანა, თითქმის იშვილა და საშუალება მისცა ევროპაში ემოგზაურნა. მოგზაურობამ ახალგაზდა გაუპტმანს ბევრი რამ შესძინა, მან საფუძვლიანად გაიცნო და შეისწავლა მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება (სკულპა-

ტურა) და სასცენო ხელოვნებაც. როგორც ქაბუკი იგი პირველ ხანებში ყველა ჩამოთვლილ ხელოვნებას სულით და გულით ეტანებოდა და ქანდაკებაში დიახაც დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა. ოც-და-ორის წლხსამ ცოლი შეირთო. ამ ხანებშივე დაიწყო წერა. მისი პირველი პოეტური ნაწარმოები ლექსები და პოემები სუსტი იყო. მისი ნამდვილი ლიტერატურული ხანა იწყობა 1889 წ. როცა მან დასწერა ცნობილი და განთქმული დრამა «აეადმყოფი ხალხი» (*Das Friquensfest*). ამ დღიდან მისი სახელი საოცარის სისწრაფით იზრდება და მისი დიდებული და იშვიათი ნიჭი შეუპოვრად იშლება და ხიბლავს თანამედროვე საზოგადოებას—ინტელიგენციას და მასსას.

გაუპტმანის ნაწერები სამგვარის ხასიათისან არიან: რეალისტური სოციალური დრამები («ფეიქრები», «მზის ამოსვლამდე») ინდივიდუალური და ფსიხოლოგიური («აეადმყოფი ხალხი», «მეეტლე ჰენშელი») და სიმბოლიური («ჰანელე», «ჩაძირული ზარი»).

გაუპტმანი მეტის მეტად თავისებური მწერალია, იგი ყველა წარჩინებულ დრამატურგებს წააგავს და იმავე დროს ყველასა სჯობნის ხელოვნებით და სიღრმით. არც ერთს მწერალს ისე არ ეხერხება ბავშვების და ქალების სულის კვეთების აღწერა, როგორც გაუპტმანს, ამ შემთხვევაში მას სწორედ ბადალი არა ჰყავს. მისი ნიჭი ნაზია, ღრმა და შეუპოვარი და იმავე დროს სიყვარულით აღსავსე.


უმკველია, გაუპტმანი კიდევ ბევრს რასმე დიდებულს და შესანიშნავს შესძენს კაცობრიობას.

ქოქმედეანი ჰიწნი:

- **ზრიდრის შოლც**, 68 წლისა, ექიმი.
- **მინა**, ამისი ცალი 46 წლისა.
- **ავგუსტა** } ამათი შვილები.
- **რობერტ** }
- **ვილჰელმ** }
- **მარიაშ ბუხნერიხა**, 42 წლისა.
- **ილა**, ამისი ქალი, 20 წლისა.
- **ჰრიგე**, მსახური შოლცებისა, 50 წლისა.

—•••••—

ქოქმედემა ხწარძოვებს ქრისტეს შა-
ბის წინა დღეს, ხოფლის განკერძოებულს
ერთ-ერთს სახლში.



მოქმედება პირველი.

სცენა. ორივე მოქმედება სწარმოებს დიდს დარბაზში, რომლის კედლები მორთულია ძველებურის სურათებით, ირმის რქებით და საზოგადოდ ნადირების თავებით. ჭალში, რომელიც ირმის რქებისაგან არის გაკეთებული, ახლად გამართულია სამთლები. უკანა კედელი შუშაბანდინია, საიდანაც მოსჩანს შემოსასვლელი დიდი კარები; აქეთ-იქით ფანჯრებია, რომელნიც თითქოს დაორთქლილნი არიან სიციფესა და ყინულისაგან.

კედელში მარჯვნივ სრული თალი მოაჩანს, საიდანაც გზა ადის მეორე სართულში. ამავე თალიდან ერთი კარი ქვემოდ სართულში მიდის და მეორე სამზარეულოსაკენ, მარცხენა კედელშიაც ორი კარია, ერთსა და იმავე ოთახში გასასვლელი. კარსა და კარს შუა კედელთან ძველებური საათია აღმართული, საათს ზემოდ ფრინველის ჩონჩხია ჩამოკიდებული. დარბაზი მორთულია ძველებურის მუხის ავეჯით: სკამებით და სავარძლებით. მარჯვენა მხარეს მაგიდა სდგას, ზედ თეთრი სუფრაა გაშლილი. პირველ მოქმედებაში დარბაზი ხის მწვანე ტოტებით არის მორთული და მარცხენა მხარეს მაგიდაზე სდგას შობის ხე, რომელსაც მინა შოლცისა და ბუხნერისა სანთლებით აშკობენ და ამწვენთერებენ. სამზარეულოს კარებთან სდგას ფრიბე და რალაცას სთლის.

ფრიბეს ზედ აცვია სხვისი ტანისამოსი და ისიც გაჭუჭყიანებული. მარიამ ბუხნერისა სრული დედაკაცია და ყველაფერში ეტყობა, რომ ბედით კმაყოფილია, ხოლო მინა შოლცისა უღროვოდ დაბერებულია. უგემურად აცვია; სათვალეს ატარებს. მიხვრა-მოხვრა სწრაფი აქვს, სიტყვა-პასუხი ოდნავ ანჩხლი და მუდამ მტირალი კილო. ყოველთვის აღელვება ეტყობა; მარიამ ბუხნერისა კი დინჯია—თითქოს სხვისთვის ცხოვრობსო და საპირადო არა აქვს-რაო. მაგიდაზე სდგას ორი დიდრონი შანდალი. ოთახი განათებულია ნავთის ლაშვარით.

I

ფრიბე. (სამზარეულოს კარებიდან) არა, რა კარგი ხე გამოვიდა-და!

მეხნობისა. მართლაც და კარგია!

ფრიბე. ჩემი ამორჩეული ყოველთვის კარგი იქნება.

მინა შოლც (სიტყვას აწყვეტინებს მოუთმენელის კილოთი). ტყუილ უბრალოდ დროს ნუ ჰკარგავთ; ისედაც ბევრი საქმე გაქვთ!

ფრიბე. თუ არაბ მათქმევინებთ—არც არაბ ვიტყვი! (უკმაყოფილოდ გადის სამზარეულოში).

მინა შოლც. სწორედ გადარეულსა ჰგავს ეს ბებერი! ადგილად წარმოდგენთ, რა უნდა ყოფილიყო ჩემი ქმარი, თუ ეს გამყვეყჩებელი მსახური სულზედ უტკბესად მიაჩნდა. თუ ფრიბე ახლავს არ ეგულვებოდა, მთელი დღე თავის დონეზე არ იყო სოღმე!.. ეგრეა ეცნაური კაცის აქბავი! (შემოდის ავგუსტა).

II

ავგუსტა. (შემორბის სწრაფად შუშაბაჰლიან

კარებიდან. ძრიელ აღელვებულია. კარებს მალე გამოიხურავს და იქვე გაჩერდება, თითქოს უნდა დაუშალოს ვისმეს შემოსვლაო).

ზინა ნოღოც. (შეშინებული რამდენჯერმე დაწვილებს). ოჰ, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

ზარ. ნუხნყრისა. რა იყო? რა ამბავია?

აჯგუცყა. (მალალი ტანისაა და ძრიელ გამხდარი. ჩაცმულია უკანასკნელ გემოვნებაზე; ზამთრის ვიწრო ტანისამოსი აცვია, აგეთივე ქუდი და ხელსაბობი. ფეხები და სახე მოგრძო აქვს. ლამაზი არ არის. ტუჩები ძალზე წვრილი და მუდამ მოკუმული აქვს, ცხვირზე პენსნე (სათვალე). ავგუტაც დედასავით მუდამ აღელვებულია მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი ყოველთვის მზად არის წაეჩხუბოს და გამოეკაშათოს ვისმე, — მთელს მის არსებას ეტყობა უკმაყოფილება, უიმედობა, და სიანჩხლე). გარკედა... ღმერთს ვფიცავ... ვიღაც უკან... კვალ და კვალ ძომსდეგდა!

ზარამ ნუხნყრისა. (საათს გასინჯავს). იქნება ვიღაცემი ჩამოვიდა? არა, ვიღაცემი არ უნდა იყო. ჯერ მატარებელი არ მოსულა (ავგუტაცა) მიმითმინეთ!.. (უნდა კარებში გაიხედოს).

აჯგუცყა. არა, არა, არა! ღვთის გულისათვის, კარი არ გაადოთ!

ზარამ ნუხნ. შვილო, ნერვები გაქვს ამლილი! (გასძახის ნახევრად გაღებულ კარებში). ეჰი, ძანდ ვინა ხარ? (სიჩუმეა).

ზინა ნოღოსა. არა, საკვირველია სწორედ: არ იქნება რომ არა მოვიგონო-რა!

აჯგუცყა. მოვიგონო-რა! ერთი არ მეტყვი, რა მოვიგონე, ან რას ვიგონებ?!

ზინა ნოღო. კარგი შენ დაგეძარტოს, კარგი შვილი შენ იყო!

აჯგუცყა. თავი დამანებე, ღვთის გული-

სათვის! როგორ არ შეშინდები, როდესაც ასეთს ბნელ ღამეში მარტოდ მარტოა მიდიხარ!

ზაიაჰ ვაჟსაჟისა. (მოჰხვევს წელზე ხელს). ვეჰ, რა ეჭვიანი ხარ და ანჩხლიცა! მოდი, შვილო, გაიხადე (შველის წამოსასხამის გახდას). აი აგრე ეძჯოდინება! (შემოდის ილა).

III

აღა. (შემოდის მანდილით მხრებზე, ხელში უკირავს სხვა და სხვა ქალაღდის კოლოფები). რა მოხდა, რა ხმაურობა იყო?

ზაიაჰ ვაჟს. აგვუსტამ დაგვაფრთხლო და შეგვაშინა.

აღა. (ზევით უჩვენებს მეორე სართულისაკენ). იქ, ზევით როგორღაც მომწყინდა მარტო-კას და თქვენთან ჩამოველი.

ზაიაჰ ვაჟს. შვილო რობერტიც სომ იქა ცხოვრობს...

აღა. (კოლოფებს მაგიდაზე აწყობს და ამოაქვს სხვა და სხვა ნობათი—ნიფთები). სცნოვრობს, მაგრამ მთელი სართული მაინც ცარიელსა ჰგავს, აქ-გი უფრო თბილა... მართლაც და შობის ხეს მოწყობა პრიელ სასიამოვნო რამ ყოფილა.

აგუესა. თუ ვარგად ჩაუკვირდები, შობის ხე კოზრდილებისათვის საინტერესო სულაც არ არის!

ზაიაჰ ვაჟს. შობის ხე ჯერ არც ერთხელ არ გაგვიწყია... ვერაფერ ამბავს დამაწევდა ჩემი ქმარი, შობის ხეს გამართვა რომ განმეზრასა... ჩემი ქმარი!.. წარმოიდგინეთ სადილსაც კი არ სჭამდა ჩვენთან ერთად. ჩვენ ყველანი ქვემოდ ვცხოვრობდით და ის კი ზემო სართულში იყო მარტოდ მარტო განდგეილსავით! თუ რამე დაგვკვირდებოდა, დიერთია მოწამე,

ფრიბეს მუამავლობით უნდა მიგვექართონა მისთვის. თორემ ჩვენ თავად ვერას გავაწყობდით!..

ავტუსტა. (ნახშირს ქეკავს ბუხარში). გაჩუქდი, ღვთისგულისათვის.

ზანა პოლუ. შენ კიდევ აგრე უჩყალოდ შეშას ნუ აფხრებ!

ავტუსტა. მაშ ოთახს ნუღარ გავათბობთ!!

ზანა პოლუ. ოჰ. თავი დამანებე, ნუ ჩამაცივდი!

ავტუსტა. (გადისვრის მაშას) ძალიან არ შენადვლება? (აჩხლად გადის მარცხნივ).

იღა. ავგუსტა. სად მიდიხარ? (მინა შოლცს). დამშვიდდით, ეხლავე კარგს გუნებაზე დავაყენებ! (გადის მარცხნივ).

ზინა შოლი. (დაღონებით), აი რანაირნი არიან ჩემი შვილები! სულ ეგეთები არიან! არა, რა გეძნოდა დადგა და! როცა ვერა გაჩერებებს რა. ხან მთელი კვირადობით აიტუზება ზემოდ და სიტყვასაგ ვერ გაიგონებს ადაპიანი იძისაგან, ხან კი იმაზე გადაირევა ხოლმე. რომ ოჯახში სრულებით შეტი ვარო!.. შენ კი ბედნიერი ხარ... შენი ქალისთანა კეთილი არსება იშვიათია!..

ზინა. ჰუანაჰისა. ავგუსტაც კეთილი ქალია!

ზინა პოლუ. შენი იდა ფორტობიანოზე როცა დაუკრავს... როცა დამღერს. ძარტო ის რადა ღირს? მერე რა მომხიბლავი ხმა აქვს. მე ძრეელ მიყვარს მუსიკა... სიმღერა...

ზინა პოლუ. შენ კი თვითონ რატომ არ უკრავ?

ზინა პოლუ. კარგი ამბავი იქნებოდა, ქე რომ დამეკრა, მაშინ ცხლვრებაც ერთი ათად ყურო გამიმწარდებოდა. ავგუსტაც ხომ მამასავით ნერვებ აშლილია! ქმარი,

ჩემს ფორტობიანოს დაკვრას რომ გაიგებდა, სახლიდან გარბოდა.

პატრიკ ზუხანაძე. შენ შენს ვილჭელს უნდა დაუგდო ყური! ძნელია მისთანა ნიჭიერი დაძვრელი! ჩემი იდა უიძისოდ რა იქმნებოდა. დღეს იდამ რაც იცის, სულ ვილჭელმისაგან აქვს შექენილი.

პინა პოლ. დიას... ჩემი ვილჭელმი დიანხან ნიჭიერია,—ჩემთვის სწორედ დიდი სიამოვნება იყო, როცა იმას მუსიკას ვასწავლიდი!.. მე მაინც გარცემული ვარ, რომ ვილჭელმა ჩამოხვლა გაბედა. მიგვირს სწორედ, როგორ ჩააგონე და დაარწმუნე რომ ჩამოხულიყო...

პატრიკ ზუხანაძე. ჩამოხვლა ჩემი კი არა, იდას ჩაგონებულია.

პინა პოლ. აი, რობერტი, თუმცა ჩვენზე დარდი არც იმდენად აწუხებს, მაგრამ ათასში ერთხელ მაინც ჩამოვა ხოლმე; ამის მადლობელიც ვარ. მაგრამ ვილჭელმი აგერ ექვს წელიწადზე მეტია ოჯახში თვალითაც არ კვინახავს... ჩემი ქმარი და შვილი მთელი ექვსე წელიწადია სასლში არ ყოფილან! (სიჩუმე) სუ თუ იდამ რაიმე ზედ-გაგლენა იქონია ვილჭელზე?

პატრიკ ზუხანაძე. ზედ გაგლენა კი არა და, ისე კი ყველაფერში უჯერებს...

პინა პოლ. სწორედ საკვირველება ძეგლდარა. ვერ წარმოიდგენ, რა გულ ჩახვეული ბავშვი იყო ყოველთვის ჩემი ვილჭელში. ზედ გამოჭრილი მამა იყო. არც ბავშობაში, არც სიყმაწვილე-ჭაბუკობაში, არც სასწავლებელში და არცა სხვა დროს როდისმე. ვილჭელს ამხანაგი არა ჰყოლია; ახლოდ არავის დაახლოვებია.

პატრიკ ზუხანაძე. მართალს ამბობ. წინა ხანებში ჩვენც გვერიდებოდა. იგი მხოლოდ

ცაკვეთილებისათვის მოდიოდა და ისე კი, თუ არ საქმის გულისათვის, ფეხს არ შემოხდგამდა ჩვენსა.

ზინა შოლვისა. მაგრამ ბოლოს ხომ მოინადირეთ იმისი გული; იდაზე რომ დაინიშნა განა ეგ კი საკვირველი არ არის?

ზარიაშ ზუხნორ. ყველაფერს მოხერხება და ცოდნა უნდა.

ზინა შოლვ. მამასთან განსეთქილების შესახებ ხომ არაფერი უამბნია?

ზარიაშ ზუხნორ. არაფერი; ეს კია, ვილჭელმს რაღაც საქციელი მძიმე ლოდვიით აწევს გულზე; მაგრამ, რაც უნდა იყოს, ამდენი ხნის მონანიებით ყოველივე ცოდოდ შეისყიდება...

ზინა შოლვისა. არა, არა; მაგას ნუ ამბობ! ამისთანა ამბები ძალე არ ივიწყება! რა თქმა უნდა, მადლობის ღირსი ხარ, რომ ასე ცდილობ და ჩემი ბიჭიც კარგად იქცევა, რომ თავის ოჯახს უბრუნდება, მაგრამ მე მაინც არა მგონია, რომ ამით გამოვიდეს რამე!

ზარიაშ ზუხნორ. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ საქმე გარიგდება.

ზინა შოლვისა. ქვეყნად ყველაფერი შესაძლებელია... მე კი სულით და გულით მოხარული და ბედნიერიც ვიქნები ჩემს ბიჭს რომ ვნახავდე... მაგრამ ვაი თუ შენა ხდებოდდე... მე კიდევ შეუძლებელი მგონია (შემოდის ილა).

IV

ილა. (შემოდის მარცხნივ, ალერსიანად ზინა შოლვს) ავგუხტა კაკლებს ავარაყებს.

ზარიაშ ზუხნორ. იდა, შეილო, გვიანდება, დროა მოიხლო, თორემ საცაა ვილჭელმიც მოვა...

იდა. (შემკრთალი). განა აგრე გვიან არის?
მინა შოლცისა. თავი დაანებე; ჩვენი იდა
მოქურთვებულად მშვენიერია.

მარიაშ ნუხნერისა. მე ცისფერი კაბა მო-
ვიმზადე (მიმავალ იდას) გულზე სადაფი
გაიკეთე, გესმის? (იდა გაღის),

მარიაშ ნუხნერისა, არ უყვარს იდას მოქ-
ურთვა-მოკაზმვა. (გარედ კარები გაიღება).

მინა შოლ. მოითმინე... ვიღაც არის!..

მარიაშ ნუხნერ. (მევა კიბეზე ამავალ კარ-
თან). იდა, მგონი, შენი ვილჰელმი მოვი-
და. (შუა კარებიდან ვილჰელმის მაგიერ შემო-
ვა ექიმი შოლცი. შოლცი ვეებერთელა ტანი-
საა, მხარ-ბეჭიანი და გასუქებული სახისა უფ-
როა, თვალები უმოძრაო, ხოლო ბანდისხან მო-
უსვენრად იხედება. კალარა ბაკენბარდები (წვე-
რი ნიკაპზედ მოპარსული) მოძრაობა უხერხუ-
ლი და აკანკალებული. ლაპარაკობს ქშენით,
თითქოს პირი ფქვილით ჰქონდეს სავეო, სიტ-
ყვებზედ ბორძიკობს. ჩაცმულია უგემურად.
სერთუკი და შარვალი უფერულია—ძველები. მა-
ტყლის ფერი ქუდი; ძველებური ყელსახვევი აბ-
რეშუმისა — დარაისი. პერანგი დაკმუჭნული.
ცხვირს იხოცავს დიდს ცხვირსახოცით, რომელ-
საც არშია აქვს შემოვლებული. მარჯვენა ხელ-
ში ირმის რქიანი ჯოხი უჭირავს. ზედ სრული
წანოსასხამი აცვია სამხედრო გემოვნებაზე შეკე-
რილი, მხრებზე პლედი—შალი).

V

შოლცი. (შემოდის). თქვენი ძონა მოქ-
რილი.

მინა შოლ. (გაშტერებით შეჰყურებს, თითქოს
საიჭიოდან მოსულს).

შოლცი. დიად... რეგორცა მხედავ.

მინა შოლ. (გაეჭანება რომ მოეხვიოს). ფრიც!
(გადაეხვევა. ამ დროს შემოდის ავგუსტა).

VI

ავტუსტა. (გამოვა), მამავ! (ამას რომ დაიკვივლებს განზე გადადგება და მოუსვენრად უყურებს მშობლებს და მათ ლაპარაკს).

ნატიაშ შუსნიტ. (ჩუმად გაიწევეს უკან და სრულებით გავა მარცხნივ).

ნოლი. დიახ... ეს მე ვარ .. მამ!.. ფრიბე კიდევ აქ არის? (ამ დროს ფრიბე სამზარეულოდან შეშინებული გამოიყურება, მერე ერთბაშად მიხვდება და გამოვა).

VII

ფრანკ. (ფრიბე გამოვა და ხელებზე ჰკოცნის ექიმს). ნატონო ექიმო! დმერთო ჩემო, აბა როდისმე დავიჯერებდი ასეთს ამბავს?

ნოლი. შენ ჭეი, აბა გასწი და იქ მიხედე და კარები კარგად ჩაჭკეტე!

ფრანკ. (თავის დაკვრით სწრაფად ასრულებს ბრძანებას).

შინა ნოლიასა. (გაოცებული). ერთი მითხარ, ერთი მიაბბე, ფრიც... გონზე ვერ ძღვსულვარ! (ტირილით ეხვევა). ეჭ, ფრიც რამდენი სიმწარე მაწვნიე ამ რამდენიმე ჩელიწადში!

ნოლი. (ტკბილად მოიშორებს ცოლს). ეჭ, განა ჩემი ცხოვრება კი ტკბილი იყო!.. პაგრამ თავი დავანებოთ სველ იარებს... გეტყობა, რომ შენი სულის კვეთება ჯერაც არ დამცხრალა! (მწარედ). მე შენ არასოდეს არ შეგაწუხებდი ჩემის ჩამოხვლით, რომ... (ფრიბე წამოსასხამს და შალს მოხდის). წოგჯერ ისეთ მდგომარეობაში ჩავარდება ადაპიანი, ჩემო შინა, რომ... განსაკუთრებით მაშინ. როცა კაცს, როგორც მაგალითად მე.. ბევრი და ბევრი მტრები ჰყვანან!

ფრიბი. (ამ დროს გაღის წამოსახამით და შალით ზემო სართულში).

მინა შოლც. (უკმაყოფილოდ). მერე ვისი ბრალია, ვინ გაიძულა, ფრიც!? შენ აქ თბილი კერა გქონდა. რა კარგად გაატარებდი შენ სიცოცხლეს ამ ჭერ ქვეშ...

შოლცა. ნუ გეწყინება კი და ამას შენ ვერ გაიგებ...

მინა შოლც. ოდონდაც, მე ხომ სრულებით უბრალო დედაკაცი ვარ... შესაძლებელია, შენ მართალიც იყო, მაგრამ შენ შენი თავის ბატონი იყავი და არავითარი საჭიროებაც არ იყო... რომ

შოლცა. პირ იქით, დიდი საჭიროება იყო. (იღუმალის კილოთი). დანაშაული მოითხოვს მსხვერპლს, ცოდვს შურის ძიება მოსდევს.

მინა შოლც. ეგ კი მართალია, ფრიც, რომ ბევრ რასხეში შენ იყავ დამნაშავე! (ამ წუთიდან, დრო გამოშვებით, მოქმედების დასრულებამდე იგი შიშით შეჭყურებს კარებს, რადგანაც ყოველ წუთს ვილჰელმს მოელის). რა ტკბილად და რბილად, რა ბედნიერად შეგვეძლო გვეცხვოვრნა, შენ რომ გდომებოდა...

შოლცა. სულ მე .. მარტო მე ვარ დამნაშავე!

მინა შოლც. აი, ესლა შენ თავსაც გადამეტებით უსამართლოდ ჰკიცხავ.

შოლცა. დიადაც რომ მართალს ამბობ; ბევრი ხელმდაბალი ადამიანი შეერთდა ჩემს წინააღმდეგ; ეგ ხომ ყველამ უწყის... წარმოიდგინე, სასტუმროებშიც კი მსახურნი არ მასვენებდნენ... მოკლი დამეგები არ მძინებია, სულ ჩემს ოთახის წინ დადიოდნენ წინად განზრახვით.

მინა შოლც. დავიჯერო, შენს შესაწუხებლად ხადიოდნენ ~~შეგს სას. საყაა~~

შოლვა. მამ შენ რა გგონია... პაგრამ ეგვეც ვია, შენ მაგას ვერ გაიგებ.

ზანა შოლვა. შეიძლება ეგრეც იყავს. ხანდისხან სასტუმროების მსახურნი საძაგლები არიან!

შოლვა. საძაგლები? არაშაადები არიან! პაგრამ ამაზე მერე ვილაპარაკოთ... როგორღაც თავი ამტკივდა. (ყვება წაივლებს ხელს). აი, ეს ადგილი! ეგვეც ერთი საძაგლობა! კარგად ვიცი თუ ვის მიწესით დამჩემდა ეს ტკივილი! კარგად გამოვძინებ და უკეთ შევიქნები; ძრეულ დავილაღე!

ზანა შოლვა. ზეკით გეცხლი არ დაგვინთია!

შოლვა. (ყურს არ უგდებს). წარმოიდგინე, ერთხელ ვენიდან რომ შავდიოდი... ცეცხლი არ დაგინთიათ? არა უმაგს-რა! ფრიბე ყველაფერს გააჩადებს... გეთაყვა, ფრიბეზე მითხარ რაზე! ჰო, პართლა, რა უნდა მეკითხნა... ფრიბე ისევ საიმედო და ხანდო კაცია, როგორც წინედ?

ზანა შოლვა. ფრიბე ისევ ის არის!

შოლვა. მეც აგრე ვფიქრობდი. ნახვამდის! (ყველას ხელს ჩამოართმევს და ჩაფიქრებული გაცილის ზემო სართულს კარებისკენ—ამ დროს შეამჩნევს შობის ხეს და გონება დაბნეულა შეჰყვირებს). ეს რას ნიშნავს?

ზანა შოლვა. (შიშითა და კრძალვით). შობას ვაღიქვასწაულობთ.

შოლვა. დაეხასწაულობთ? (სიჩუმის შემდეგ, წარსულის მოგონებით გატაცებული). ეჰ, რაძენი ხანია მას შეძეგვ! (მობრუნდება და გულწრფელად ეტყვის). იგი, შენც ხომ ძალწედ დაბერებულხარ!

ზანა შოლვა. დიახ, ფრიც, მე და შენ—ორნივე...

წოლცი. (თავს უკრავს, შიბრუნდება და კიბით ადის მეორე სართულში).

მინა წოლც. (ავგუსტას), აბა, ესლა რაღა ჰქნას კაცმა!? მერე ვილჭელაიგ მოხსახვ-
ლეღია! შიშით კინაღამ მოვკვდი! რა იქ-
ნებოდა, რომ მამა და შვილი ერთმანეთს
შეხვედროდნენ?! ვილჭელმს ყოველ წუთს
შეეძლო შემოხულიყო. ღმერთო, კიდეც
რამები უნდა გამოვცაოდო მე ხანრალოდ
დაბერებულმა!

ავგუსტა. საოცარმა, რაღაც გაუგებარმა
გრძნობამ ამიტანა, დედავ! რა ხანია შე-
ვეჩვიეთ მამის არ ყოფნას; ესლა, თითქოს.
დიდი ხნით დასაფლავებული ცხეაარი
აღსდგა მკვდრეთით-შეთქი. დედა. ქეში-
ნიან!..

მინა წოლც. იცი, მე რა შეგინია? იქნება
ყოველივე შემოეხარჯა და...

ავგუსტა. აპას ვინ ჩივის; ეს კიდეც არა-
ღერია!

მინა წოლც, კარგი, მაგრამ როგორღა ვი-
ცხვოვროთ?.. ეგრე თუ გაგრძელდა ჩვენნი
საქმე, მათხოვრობა უნდა დავიწყეთ. (შე-
მოღის ილა, მას მოსდევს მარიამ ბუხნერისა).

VIII

ილა. (გამოდის მხიარული, ახალის კაბით. ავ-
გუსტას ხელს ჩამოართმევს და გრძნობით ეტ-
ყვის). ავგუსტა ჩემო! ნუ თუ ევ მართა-
ღია! ოჰ, რა მოხარული ვარ, რა მოხარული!
(მინა შოლცისა და ავგუსტა უკმაყოფილოდ გა-
დაკრავენ ერთმანეთს თვალებს).

მ. მუხნაჯისა. სწორედ არ მქსპის თქვე-
ნი დანადგლიანება... თვით ღმერთმა მო-
გივლინათ ამისთანა დროს! (ლაპაჰაის
დროს და შემდეგაც შობის ხეს ამკობს ილასთან
ერთად. შემოდის რობერტი).

IX

ბობოქრია. (მარცხენა კარებიდან შემოდის. შუა ტანის კაცია. მჩატე აგებულობისა, სახე გამზღარი და ფერმკრთალია. ღრმად ჩაცვივნილი თვალები, ხანდახან ელვარებენ; წვერ-ულვაში პატარა, მოკლე ყალიონიდან ეწევა თამბაქოს). როგორღაც, ძლიერტყენლობას ვგრძნობ, დედა, შენთან.

ბინა პოლც. ესლა ესეც გულს გამიწყალებს!

აჟრუსცა. იჰ, რაც უნდა სთქვას! (შურით შეხედავს იდას ჩაცმულობას).

ბობოქრია. (იდას, რომელმაც გაოცებით შეხედა რობერტს). დიახ, მე ეგეთი განლაგართ, ჩემო ბატონო!

იდა. (თავის ქნევით). ოჰ, არა, არა! ეგ შეუძლებელია!

ბობოქრია. (თავისუფლად ჩამოჯდება დივანზედ, მარცხენა მხარეს). ერთი მიბრძანეთ, რატომ გგონიათ, რომ შეუძლებელი იყოს ეგა? ჩემის აზრით, სულაც არა ღირს ადამიანი იმ გრძობებში იმღსებოდეს, რომელიც სულ არ გააჩნია. დამიჯერეთ, არა ღირს, ჩემო ბატონო!

აჟრუსცა. (ანჩხლად). ოჰ, რა სისაძაგლეს ლაბარაკობ, რობერტ!

ბობოქრია. მე ხომ მაგას განზრახვით არ ვაპბობ და მიტომ თქვენი კაპახობა სრულებით უადგილია!

აჟრუსცა. რაც გინდა იყბედე, ჩემთვის სულ ერთია!

ბობოქრია. უკაცრავად... მე ასე მეგონა .. მართლა, რა ამბავია, ავგუსტა, რომ შენს გარეგნობას სრულებით ყურადღებას არ აქცევ?

იდა. (კეოილის გულით). ბ-ნო რობერტ, აბა როგორ იქნება!

ბონიფაცი. მამ თავი არ უნდა დავიცვა!

ავგუსტა. (ძლივს იმაგრებს ცრემლებს). ყოველი შენი სიტყვა, შენი წნეობის გაპომხატველია! მითომ ჩემი სნოვანობა სასაჩილოდ აიგდე! რა სიმდაბლეა! განა სიმდაბლე არ არის, ბატონებო, როცა დამცინიან მე, რომელმაც საუკეთესო ხანა სიყმაწვილისა და ახალგაზდობისა, დედის გვერდზე გაატარე? მაშინ როდესაც თქვენ... მე თითქოს მოახლე ვყოფილიყავ!..

ბონიფაცი. ოჰ, რა ძართლად და ბუნებრივად მოგივიდა ეს სიტყვა. მე შენი ვიყო, ეხლავე სცენაზე შევიდოდი! (სხვა უფრო მაგარი კილოთი). რას იგრისები, რას იბრანჭები! მერწმუნე, რომ წამებულთა სიწმინდე შენ სრულებით არ შეგფერის! შენ რომ შინ დარჩი, ამის მანეხი სხვაა და არა შენი გულკეთილობა და სათნობა! ძართალი თუ გინდა, ეს არის!

ავგუსტა. (გრძნობით). დედავ, მოწმე შენა ხარ: უარი არ მითქვამს ხამი საქრძობათვის!

ბონიფაცი. რა თქმა უნდა; დედას რომ შესძლებოდა შენთვის ქრთაპი და მწითევი მოეცა, მამინ ის შენი საქმრთნი ერთს წუთსაც არ დაუიქრდებოდნენ და ფულთან ერთად შენც გაგანადებდნენ!..

მანა შილც. რაღ, ფულიო? (რობერტს ხელის გულს გაუწვდენს). აჰა, აიღე დანა და ხელის გულიდან ამოხტე ფული!

ავგუსტა. (ძალზე გაკაპასებული). მამ შენის აზრით უმწითევოდ არ მივყვანდიო! გინდა ეხლავ კიჩვენო წერილები, რომლებმაც მე თითონ ვეუბნებოდი უარსა!?

მანა შილც. შვილებო! (გულს მიუშვებს, თითქოს დასაკვრელად). აჰა, აქ, აქ დამკარით ბარემ! ნუ თუ ოდნავათ შებრალება მა-

ინც არა გაქვთ ჩემი! ოჰ, ღმერთო ჩემო, სუთს წუთს მაინც მოვიხვეწებდე... რა შვილებია! ღმერთო, ხუთი წუთსაც ვერ გასძლებენ, რამ არ იჩხუბონ!

ბოზიჭვი. აბა რა? განა ტყუილადა ვსთქვი, რაღაც მოუთმენლობას ვგრძნობ აქა-მეთქი! (შემოდის ფრიბე).

X

აბაბი. (აფუსფუსებით შემოდის. მივა მინა შოლცთან და რალასაც უჩურჩულებს. შოლცისა მალე გადასცემს გასალებს და ფრიბე სწრაფად გადის).

ბოზიჭვი. (რომელიც ჩუმათ თვალყურს ადევნებდა ამ სცენას). ოჰო!

ავგუსტა. (რომელიც თვალს არ აშორებს რობერტს, მწარედ იტყვის). შენში წმინდა და სათნო სულ არ არის რა, სრულებით არა არის რა! პრანჭიაობა და გრენხიაობა სწორედ შენი ხელობაა! შენ სულ მუდამ სტყუი, სულ მუდამ თვალთმაქცობ, აი ეს არის საძაგლობა და სულმდაბლობა!

ზინა შოლც. (გაერევა მათს ლაპარაკში). გაათაკებთ თუ არა თქვენს დაუხსრულებელ დავას!?

იფა. (რომელიც შობის ხეს ამკობდა, შუშაბანდიან კარებში გადის).

ავგუსტა. ფუი, რა ურცხვი რაბა ხარ!

ბოზიჭვი. ურცხვი! დიახ, მართალია, მე სწორედ ურცხვი ვარ!

ზინა შოლც. ბ-ნო რობერტ! თქვენი სულ არა მჯერა რა! თქვენ ბევრად იმაზე უკეთესი ხართ, რაც თქვენა გგონიათ, და რათაც თავი უნდა გვაჩვენოთ.

ბოზიჭვი. (დაცინვით). პატივცემულო ქალბატონო! იქნება თქვენის მხრით ეგ დიდი სრდილობაც იყოს... მაგრამ თუ მართალს

მათქმევინებთ, მე სწორედ ვერ გაშიგია, რა გაიძულებთ თქვენ ჩემზე ვარგის თქმას?.. სამწუხაროდ, მე უარი უნდა ვყო თქვენი წრდილობიანი გულგეთილობა. რადგან მე ჩემს თვალში ჯერ ისე არ დავცემულვარ, რომ ვისიძე დაქომაგება მჭირდებოდეს ან დარიკება...

ზაზაძე ბუნდოვანა. (დარცხენილი). მე არცა მქონია აწრად თქვენი... მე ისე ვსთქვი. მაპითქვენიხათვის.

ბობოტი. ჩემთვის მაძახეძი კანლავთ ექიძი ფრიდრის მალცი და სხვა არაფერი.

ავგუსტა. მღჰყვა თავისებურად!

ბობოტი. მე თუ ისე გულგრილად არ ვიქცევი მაძახემს. როგორც სხვას, სრულეძით უცხო კაცს ან გადარეულს და გიყვ ვისძე... ეს იძის ბრალია, რომ... (თაზაქოს ძალზედ ოსწევს). რომ თვითონ მე ცოტად თუ ბევრად შედეგი ვარ მაძახეძის სიგიყვისა!..

მაზაძე ბუნდოვანა. (გაოცებული). უჯანრავად, ესლა კი სრულეძით არა გამეგება რა თქვენი... მივვირს, ენა როგორ გემორჩილებათ ამისთანა რასძე რომ აძნობთ!

მინა ლოციანა. (ბუნდოვანა). დამშვიდდი, ჯერ კიდევ სადა ხარ—მაგისთანაეძს გაოგონებ და ნანავ!? (შემოდის ფრიბე).

XI

ფრიბე. (ამოდის სარდაფიდან, ხელში სამა ბოთლი უჭირავს. ილიაში კონიაკის ბოთლი აქვს ამოჩრილი, მარჯვენა ხელში გასაღებები უჭირავს. აფუსფუსებით ეტყვის მინას). ესლა, ძალე ციგარეძი!

მინა ლოცი. დემერთო! მე სულაც დამავიწყდა, თუ სად არის.

ბობოტი. (ამოიღებს ჯიბიდან გასაღებს და

აძლევს ფრიბეს). გასადები მე ქაქვს, აჰა, გამომართვი! დასტვით ქაქაქემის ციგარებით!

ზოზი. ეჰ, ნეტავი თქვენ! მთელი დღე პირიდან ციგარას არ აპლიდებს და მე კი... (ზარის ხვა). მოვდივარ, მოვდივარ! (საჩქაროთ გადის ზე?ო სარაულში).

ზინა პოლკ. აგრე თუ გაგრძელდა, ჩვენს ხარდაფში არც ერთი პოთლი არ დარჩენა! ღმერთო, რით უნდა გათავდეს ყოველივე ესა!? რამდენი ღვინო მიდის! ყოველთვის ძვირფასი სიგარები. აი, დაიძახხოვრეთ ჩემი სიტყვები, საბოლოოდ ისე გაიხდის საქმეს, რომ რაიმე უბედურება შეეშთხვევა!

ზოზი. მაგის უფლებას კი ვერ წაართქვ!

ზინა პოლკ. მაგით რა გნებავთ სთქვათ?

ზოზი. მე ის მსურს ვსთქვა, რომ ყოველს კაცს უფლება აქვს თავისებურად გაატაროს დრო!.. ამ უფლებას არავის დაუთმობს, კანონსაც კი არ დაუთმობს.— მე კი ძრეელ მიკვირს!

ზინა პოლკ. რა გიკვირსთ? ჩემში ხომ არას ხედავთ საკვირველსა!

ზოზი. ეც იმაზე დაპოვიდებული, თუ რა თვალთ უყურებს კაცი ამა თუ იმ საგანს. თქვენ აგერ რამდენიმე დღეა, რაც ჩვენსა ბრძანდებით და როგორცა ხჩანს უკან დაბრუნება ფიქრადაც არ მოგსდით!

ავკუსცა. რაებს მიედ-მოედება!

ზინა პოლკ. (უნუგეშოთ თავს იქნევს). ნეტა როდის მოედება ბოლო ასეთ ყოფას!

ზოზი. (ტლანქად). განა ტყუილს ვამბობ, დედაჩემო! განა როდისმე ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ უცხო კაცს ჩვენ-

სა ნანსკვარ დღეზე მეტი გაეტარებინოს? განა ნინოებს ოჯახი არ მოკვშიორდა? ლემანები კი? აჰ!

აგუსტა. ძალიან კი არ გვეჭირვება ლემანებიანი. მე ასე მგონია, რომ ჩვენც სრულიად საკმარისნი ვართ ჩვენი ოჯახისთვის.

როზა. (დაცინებით). ოღონდაც, ოღონდაც! ჩვენ ჩვენი თავითვე კმაყოფილნი ვართ! სრული ჭეშმარიტება სთქვი (ტლანქად ბუხნერისას). იცით, ქალბატონო პარიამ, ჩვენი ატივცემული ოჯახის წევრნი, სშირად, სრულებით უცხო პირებთან, იქამდინ გაგულისებულან, რომ თქვით და ქაჩრებით უთრევიათ ერთმანერთი... დედა სუფრას გლეჯავდა მაგიდაზე, პაპა ბოთლებს ამტვრევდა! სამხიარულო ხანახავი იქნებოდა, განა? ოღონდაც, რომ სამხიარულო სცენებია, სამხიარულო შთაბეჭდილებანი ბავშვებისათვის!

აგუსტა. დედამიწა უნდა კასკდეს და შიგ ჩავიტანოს მაგისტანა ურცხვი სიტყვებისათვის, შე სამაგელო და ბოროტო! (სწრაფად გადის).

მინა შილოვ. სომ დაინახეთ! აი ასეთს ყოფაში ვატარებ მთელ ჩემს სიცოცხლეს მრავალ ათის წლობით! (გადის აღელვებულ).

როზა. (აგრძელებს მოურიდებლად თავის საუბარს). და არც საკვირველია ჩვენი ოჯახის ასეთი ყოფა-ცხოვრება! ორმოცი წლის კაცი, ცოლად ირთავს თექვსმეტი წლის გოგონას და სადღაც სოროში აბინავებს საცხოვრებლად! კაცი, რომელიც, ვითარცა ცნობილი ექიმი, ჯერ ოსმალეთში მსახურებდა, მერე მთელი ჩინეთი მოიარა; კაცი ყოვლად განათლებული და დაწინაურებული, დიად აწრებისა და ხახიათის პა-

ტორნი.—საძუღამოდ უკავშირდება ისეთს
ქალს, რომელმაც მანამდე არც კი იცოდა,
ამერიკა ფრინველია თუ ჩასაცემელი! მერ-
წმუნეთ, ნამდვილს მოკახსენებთ. მე არას
ვივინებ და არას ვაჭარბებ! აი, ასეთ ჭა-
ვბზე ალვისწარდენით ჩვენა! თქვით ყალყ-
ზე კიდგება როცა დაფიქრდები ამაზე!
რა თქმა უნდა, სიყვარულის ხსენებაც არ
ყოფილა მათს შეუღლებადი. ერთი-ერთის
გაუგება და პატივისცემა სიწმინდად არ
მოხიზმრებიათ! აი ის ნიადაგი, რომელ-
ზედაც ჩვენ ალვისწარდენით!

მარია მუხნაჩისა. ბნელ რობერტ, უმორ-
ჩილესად გთხოვთ...

ბობოჩვი. კეთილი! ბატონი ბრძანდებით,
თუ გნებავთ კრინტსაც არ დავძრავ, ჩემ-
თვის სულ ერთია (გაღაფა მარჯვენა).

მარია მუხნაჩისა. არა, მე სხვა რაზედმე
უნდა მეტხოვნა თქვენთვის..

ბობოჩვი. გეთხოვნათ? ჩემთვის?

მარია მუხნაჩისა. ერთი სიკეთე მიყავით!
ეგ თქვენთვის არც ისე ძნელი იქნება!..
ვანა ვერ შესძლებთ რომ ამ ერთს სალა-
მოს მაინც მოისადლოთ ეგ თქვენი ნი-
ღაბი!

ბობოჩვი.. საუცხვოა!.. ნიღაბი მოვისა-
დო?

მარია მუხნაჩისა. დიას, ნიღაბი, რად-
გან დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ
ყველას უმაღლავთ თქვენს ნამდვილ სა-
ხეს!

ბობოჩვი. არ მესმის, რაებს მეუბნებით...

მარია მუხნაჩისა, გემუდარებით, აღმის-
რულებთ ეს თხოვნა.

ბობოჩვი. სწორედ არ ვიცი... რა არ-
რია... რა გიბახუხვთ...

მარია მუხნაჩისა. თუ ვინიცობაა, ვილ-

ჭელში.. ხომ იცით, რომ თქვენ ძმას, ვილ-
ჭელს ყოველ წუთს მაცულიან... და...

ბობოქია. (აწყვეტინებს). ქ-ნო მარიამ, გა-
რწმუნებთ, რომ თქვენი ცდა სრულებით
ამაღა... ჩვენ ხომ ჩვენს ოჯახში რაღაც
უბადრუკნი და უკბილონი ვართ... უბა-
დრუკებად დავიბადენით და უფრო უბა-
დრუკი გამოდგა ჩვენი აღზრდა-განათლე-
ბა! ესლა ჩვენ ვერაფერი გვიშველის რა!..
აქ ყოველისფერი გულიანად და მწიანად
არის მოწყობილი: შობის ხე, წმინდა სან-
თლები, ნობათები, ოჯახის ყველა წევრ-
თა ერთად თაღმცურა, მაგრამ ყოველივე
ეკ მხოლოდ გარეგნობაა, ყოველივე ეს
ნაძალადევი სათნოება, უმნო თვალთმაქ-
ცობაა და სხვა არაფერი... მე რომ ვილ-
ჭელის მიუკარებელი ხასიათის ამბავი
არ ვიცოდე, ღმერთს გეუციცებით, ასე ვი-
ფიქრებდი, რომ თქვენ ჩააგონეთ ვილ-
ჭელს აქ ჩამოსვლა...

ზაბიამ ბუსნაჩისა. გარწმუნებთ, რომ სცდე-
ბით! მამა თქვენის უფროვი მოსვლა სწო-
რედ ღვთის განგებაა... აი სწორედ ამი-
ტომ გთხოვთ, რომ თქვენის ძმის ჩამო-
სვლას და თვითონ მასაც მოექცეთ ტკბი-
ლად და მეგობრულად. თქვენ რომ იცო-
დეთ, რა სიყვარულით და პატივისცემით
გისხენიებდათ ვილჭელში ყოველთვის!..

ბობოქია. არ მესმის სწორედ, რა მოსაზ-
რებით უნდა მოვიქცე ასე ტკბილად და
მეგობრულად?

ზაბიამ ბუსნაჩისა. მეკითხებით კიდევ?

ბობოქია. სწორედ გეკითხებით!

ზაბიამ ბუსნაჩისა. თუნდაც იმ მოსაზრე-
ბით, რომ არ ჩაუშვამთ თქვენს ძმას,
ამდენი ხნის უნაზაობის შემდეგ, მშობ-
ლიურ ოჯახში დაბრუნების სიტკბობა!

ბობოქარი. თქვენ ძლიერ სცდებით, თუ ფიქრობთ, რომ ვილჰელმი დაინასავს თუ არა მშობლიურ კერას, მაშინათვე გრძნობიერებაში მოვა.

ზარაჰ შუხარისა. თქვენი ძმა სეკტად კარგი ყმაწვილია და დიაღაც კეთილშობილი ყოველისფერში! რამდენი ბრძოლა გამოიარა, მინამ აქ ჩამოხვლას გადასწყვეტდა. გარწმუნებთ. რომ ვილჰელმი ოჯახში ბრუნდება მხოლოდ ერთის ნდომით გამსჭვალული: რომ ყველას შეურიგდეს!

ბობოქარი. მე მაინც კიდევ ვერ ვაპიგია, თქვენ რასედა ბრძანებთ, რომელ შერიგებაზე ამბობთ? რას ან ვის უნდა შეურიგდეს ვილჰელმი? ადვილი სათქმელია შერიგება, მაგრამ რაც მოხდა, იგი გონებიდან ასე ადვილად ვერ წარისოცება. სუთუ გგონიათ, რომ მე მამისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას ვგრძნობდე? სულაც არა! ან იქნება გგონიათ სიყვარულს ვგრძნობდე? ან იქნება სიყვარულის მოგონებანი მიზიბლავდენ გულს?.. სამწუხაროდ, არც ერთი ამ გრძნობათაგანი არ გაპაჩნია; ჩვენს სახგრძლივ ცხოვრებაში, ერთმანეთისათვის, სულ ბევრი რომ ვსთქვათ, არარა ვიყავით, ხოლო როცა ერთმანეთს რამეში გამტყუნებდით, მაშინ გვძულდა კიდევ ერთმანეთი! ეს, ამ სიმძულვარემ განსაკუთრებით თავი იჩინა მამაჩვენსა და ვილჰელმის შორის!.. მე კარგად მესმის, რომ თუ მე თვითონ არ მოვანდინე ის, რაც ვილჰელმმა ჩაიდინა, ეგ მხოლოდ ჭბრალე შემთხვევას მიეწერება!.. მე ვილჰელმის წინააღმდეგ არა ძაქვს-რა, მხოლოდ, ერთი სხოლიო, არ უნდა ვხედავდე... შორი-შორს უნდა ვიყვნეთ ერთმანეთისაგან. მაგრამ თუ

შევსვდი, თუ ჩვენ ერთმანეთს ვსვდებით. მაშინ ჩემი გონიერება და ძმობა ტარტაროზში ჩაინთქება სოლზე; მის ახლოს დანახვანე, მე რაღაც ბოღმა მაწვება, მაშინ... მე... უკეთ რომ მოგასხენოთ... ერთის სიტყვით, მაშინ მე ვილჭელში ვხედავ ისეთს კაცს, რომელმაც გაუბედა მაჩემს,—თავის მამას კი არა,—არა, ჩემს, მამაჩემს შეურაცხყოფა და სახეში გარტყმა!

ზარიაშ ბუსნაჩისა. ოჰ, ღმერთო ძლიერო!

ბობაჩვი. მაშინ მე ვერაფერს ვერ გეტყვით და არც არას დავპირდები სხვას. ოჰ ჩემს თავსაც...

ზარიაშ ბუსნაჩისა. ღმერთო ძლიერო! მამა აი, საქმე. თურმე, რა ყოფილა!.. თქვენ ამბობთ, საკუთარს ღვიძლ მამას სახეში გაარტყაო!..

ბობაჩვი. ჰე-და, სწორედ მაგისტვის განშორდენ ერთმანეთს და ერთსა და იმავე დროს დასტოვეს ორთავემ საკუთარი ოჯახი და ექვსი წელიწადი უგზო-უკვლოდ დახეტიალებდნენ ცხრა მთას იქით.

ზარიაშ ბუსნაჩისა. ღმერთო ჩემო! ღმერთო ძლიერო! მამ თუ აგრეა, მე ეხლავე... ამ წამშივე უნდა მოველაპარაკო მამათქვენს, თქვენს საბრალდ, მოხუც მამას!

ბობაჩვი. (ძრიელ შემინებული). როგორა! ვისაო!?

ზარიაშ ბუსნაჩისა. (ცრემლით). თქვენს უნებდურს და შეურაცხყოფილ მოხუცს მამას!

ბობაჩვი. (უნდა შეაჩეროს). ღვთის გული-სათვის! რაებს ამბობთ, ეგ რა აწრი მოგსვლიათ!?

ზარიაშ ბუსნაჩისა. თავი დამანებეთ! მე უთუოდ ასე უნდა მოვიქცე. უთუოდ უნ-

და მოველაპარაკე. (გადის მალა სართულისკენ)

ბოლოვანი. (უკან მისდევს). ქალბატონო მანია! (მობრუნდება). ვერა გავაცონე რა? იჰ, ეს წყეული სისუსტე! (მხრებს აიწევს და დადის დიდის ლაჯებით ოთახში. რამდენჯერმე განიზრახავს ბუნწერისას გაჰყვეს, მაგრამ შეჩერდება და ცდილობს რომ დამშვიდდეს, რითვისაც ძალზე ეწვევა თავის ჩიბუხს; მერე ჩიბუხა გამობერტყავს. ახალის თამბაქოთი გასტენავს, როელიც ქისაში აქვს, მოუკდება და ამოვინებით სწევს. ცოტა ხნის შემდეგ, მისი ყურადღება მიეპყრობა შობის ხეს და ნობათებს, რომელნიც მაგიდაზე არიან დაწყობილნი. იგი ფეხ-გალაჯული შეჰყურებს შობის ხეს, თან ეწევა ჩიბუხს და ბოლოს რამდენჯერმე მწარედ გაიციინებს. ერთბაშად შესდგება, დარცხვება, თავს მაგიდაზე დახრის და შეჰყურებს ნობათებს. ცოტა ხნის შემდეგ გაიმართება, თავს აიწევს და ეხლა-და დაინახავს რომ მარტოა. შიშით აქეთ-იქით იმზირება, მერე ერთბაშად მიპარვით აიღებს მაგიდაზე გაშლილ ყვითელს ქისას, სწრაფად მიიტანს ტუჩებთან და ეშხით ჰკოცნის. დაეცემა ღრმა გრძნობიერება. მაგრამ მოჩვენებულნი ხმაურობა გამოაფხიზლებს). იდა! რა ლამაზი სახელია! თითონაც რა კეთილია, რა მომსიბღავია! (ჰკოცნის ქისას). ნუ თუ მართლა სჯერათ, რემ ამ ოჯახში სიყვარულსა და სიმშვიდეს დაამყარებენ? ყოველივე ეს ნეტა რადა მწყინს და რად მაჯავრებს!.. (კარების უკან ხმაურობა შეაშინებს. მერე ისევ ქისას მაგიდაზე დასდებს და თვითონ ფეხ აკრებით ჩუმად გასვლას აპირებს მარცხენა კარებში. მაგრამ ამ ღროს შეამჩნევს დედას, რომელიც ამავე კარებიდან გამოდის).

XII

ბოზორჯი. ერთი მითხარ, დედა ჩემო, ნეტა რა უნდა მარიაშ ბუნსერისას?

ზინა შოლვისა. ღმერთო ჩემო, რა რიგ შემაშინე!

ბოზორჯი. ნეტა ვიცოდე, ამ ბუნსერის ქვრივს რა უნდა ჩვენგან?

ზინა შოლვისა. მე კი ნეტა ეს გამაგებინა, რა უნდა აქ მამაშენს?

ბოზორჯი. თავშესაუარს სოქ ვერ დაუჭერ!

ზინა შოლვისა. (ცრემლებით). ვითომ რატომღაც! რამდენი ხანია მე იმიხთვის ხაჭირღ არ ვიყავი. მე თვითონ ჩემი თავის ბატონ-პატრონი ვიყავი. ესლა კი ყველაფერი აირევა. ისევ უნდა დავიწყო ამ სიბერის დროს ბრძანებლობისა, გაანჩხლები და ყვირილის ქვეშ ცხოვრება!

ბოზორჯი. უთუოდ უნდა ყველაფერი გადააჭარბო!

ზინა შოლვისა. აი ნახავ თუ სვალიდან არ დაიწყოს! (ჩაჯდება მაგიდასთან). მარტო ერთი იმიხი ყვირილი რადა ღირს! ეს გაძუდებული ყვირილი! მე უკვე მაქრეჯოლეშ ტანში!.. ღმერთო, რა ძნელია ამ ქვეყნად ცხოვრება!

ბოზორჯი. (რომელსაც წასვლა დაეპირებინა და დედის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა, სწრ ფად მობრუნდება, ოდნავ მოეხვევა და ჩურჩულით ეუბნება). დედილო, განა ყოფილა როდისმე ისეთი დრო, რომ ჩვენ უკეთ გვიცხოვრნა!?

— ზინა შოლვისა. აბა, რა თქმა უნდა ყოფილა!..

ბოზორჯი. (ხარხარით). მართლა? აღბადე ეც ჩებს გაჩენამდე თუ იყო! (გადის მარცხნივ კარებში).

მინა ნოღვისა. (ამოოხვრით). დიას, ეს დი-
დი ხნის ამნავია! (გაიგებს ქმრის ხმას, შე-
წუხდება. ხევით იხედება. კრძალვით ყურს უგ-
დებს). აი, დაიწყო კიდეც! (დაძმარებული გა-
ღის).

(შემოვლენ იდა და ვილჰელმი).

XIII

(იდა და ვილჰელმი შემოვლენ შუშ ბანდის კარე-
ბიდან: ვილჰელმი შუატანისაა, ლონიერი და მა-
გარი აგებულობისა, თმა მოკლედ აქვს მოკრე-
კილი. კარგად შეკერილი ტანთსაცმელი აც-
ვია. პალტო, შლაპა, პატარა სამგზავრო ჩემო-
დანი მარჯვენა ხელში უჭირავს, მარცხენა ხე-
ლი იდას მხარზე დაუდვია. იდა მოხვევია მარ-
ჯვენა ხელით და წინ ეწევა. ვილჰელმი თითქოს
ეწინააღმდეგება).

იდა. შემოხველ კიდეც სახლში, უკვე აქა
ხარ. პირველი მძიმე ნაბიჯი უკვე გა-
დადგი.

ვილჰელმი. (ამოოხვრით). ჯერ სადა ვარ!

იდა. გარწმუნებ, რომ დედა შენი ძრიელ
მოხარულია; ავგუსტაც ხარობს. (გააძრობს
ხელთათმანებს).

ვილჰელმი. შენ ეს მითხარი, რა შთაბეჭ-
დილება გამოიტანე აქაურებისაგან- რა
ხალსია?..

იდა. კულდია ხალსია. მე რომ მეკითხე-
ბი, განა შენ არ იცი?

ვილჰელმი. (თანდათან უფრო კრთება, თითქოს
თავის თავს ელაპარაკებოდ და სიტყვებს აპრტ-
ყვლებს). საოცარია! (დაინახავს შობის ხეს
და ფიქრში წავა).

იდა. (აღვრისით). ჩემო კარგო, შენ ისე
გამტერებით შეწყურებ, თითქოს პირვე-
ლად ხედავ შობის ხეს.

ვილჰელმი. გინახავს შენ როდისმე... იდა,

გინახავს როდისმე ამოთსრილი საპარე ყვავილებით და გვირგვინებით შემკული?..

იდა. (შემკრთალი). რაებს ჰბოდავ, ვილ-ჭელმ? (სწრაფად მოეხვევა). ეგეთი სიტყვებით დიდი, დიდი ცოდლა შენის მხრივ!

ვილჰლმი. (ჩუმად და ნელა მოიშორებს). მე იმას ვამბობ, რასაც ვგრძნობ! (ცივად). დამშვიდდი, იდა!

იდა. რა უცნაური რამა ხარ დღესა.

ვილჰლმი. (ათვლიერებს დარბაზს). სულ ყველაფერი უწინდებურადაა! იდა, შენ დიდ ღირსებად უნდა ჩამითვალა, რომ მე...

იდა. ვილი, მეშინიან! რა გეპართება? დედამ არ იცოდა, რომ ასე გაგიძნელდებოდა, თორემ... მე... მე კი არ მინდოდა ეგა... მაგრამ ეხლა, როდესაც უკვე მოხველ, იყავ გულ-კეთილი და სათნოიანი... ჩემი გულისთვის მაინც იყავ! (ეხვევა).

ვილჰლმი. (თითონაც მოეხვევა იდას მღელვარებით). ოჰ, რამდენი რამ გამომივლია აქა?

იდა. რამე უწიენიათ შენთვის აქა?

ვილჰლმი. აი რას გეტყვი: ეხლა ჩემთვის ყოველივე მეტად ცხადია... დედაშენს არ უნდა ერჩია ჩემთვის... მე ეგ წინადაც ვიცოდი... მე უთხარი კიდევ დედაშენს... მაგრამ არ დამიჯერა... ნეტავი სიტყვა არ მიმეცა და არ ავყოლოდი დედიშენის რჩევას!

იდა. დმერთო, რა მწარედ, რა შავად ხედავ ყველაფერს... მერწმუნე, ხვალ, როცა ყველას ნახავ, სულ სხვა გუნებაზე შეიქნები. სხვა არა იყოს რა, ამით შენ დამტკიცებ, რომ გულწრფელად გინდოდა შერიგებოდი შენს საკუთარ ოჯახს...

ვილჰლმი. როცა ყველაფერს ხელახლად ვხედავ, მყისვე წარმომიდგება ხოლმე

წარსული თავის სიმწარით. ასე მგონია, წარსული თვითონ ჰოდის ჩემკენ, მიახლოვდება და თან მეხვევა ყველა თავის მწარე მოგონებით და გამოუთქმელის ტანჯვით! მე უძლური ვარ მოვიშორო იგი; განვთავისუფლდე მისი მოგონებისაგან!

იფა. (ცრემლ მორეული ეხვევა). მე გული მტკივა, ვიღჭელმ, როცა შენ ასეთს უბედურს შემოგყურებ!

ვილჰელმი. იდა, პერწმუნე, ბევრად უმჯობესი იქნებოდა, რომ გავეცალა აქაურობას. ვერ ავიტან ამდენ შთაბეჭდილებას! შენ ჯერ ბავშვი ხარ, იდა, უმანკო, წმინდა ბავშვი! შენ ჯერ არა იცირა! დმერთს მადლობა შესწირე, რომ არც კი იცი, ეჭვიც არა გაქვს, თუ რა კაცი ხდება შენს წინაშე... მარტო შენ გამოგიტყდები, თუ რამდენი ბოღმა და გესლი, რამდენი მსამი და სიმძულვარე ამეშალა აქ ფეხის შემოდგმით!

იფა. თუ გინდა წავიდეთ, ესლავე წავიდეთ! მე თან და თან შიში მიბყრობს! მესინიან რომ შენ არ დაგეარგო... სწორედ დამნაშავე ვარ, რომ არ დაგიშალე აქ ჩამოხვლა. ვიღჭელმ, ეჭვი არ არის, რომ აქ რაღაც უბედურება და საზარელი რამ მომხდარა!..

ვილჰელმი. შენ ამბობ საზარელიო?! დიას, აქ საშინელი ბორბტება მოხდა და ეს ბორბტება მით უფრო საზაროა, რომ მისი გაქარწყლება შეუძლებელია! აქ მოპანიტეს სიცოცხლე და აქვე გამუდმებით მიშხამავდნენ ამ სიცოცხლეს! შენთან დასამალი მე არა მაქვს რა. ისეთის ძალპოპრეობით, იმ ზომამდინ მიშხამავდნენ სიცოცხლეს, სანამ ეგ სიცოცხლე ჩემთვის არ შეიქმნა აუტანელ ტვირთად, რომლის

“ნიდგა არ შემეძლო და ამიტომ ყოველ ღონისძიებას ვზმარობდი, რომ შემძვრალ-ვიყავ რომელიმე თვალთ უწილავ სორღში და სადმე სამუდამოდ დავმალულ-დავკარგულვიყავი!.. ვერა, სიტყვებზე ვერ ვბოლღობ, იმის გამოხსათქმელად, თუ რა ტანჯვა-ვაება გამოვიარე აქა! შური და მტრობა, სიმძულვარე, სიბრანე, სასოწარკვეთილება, სინანული... ერთს წუთსაც არ მომიხვენია .. მთელი დღე და ღამე გამუდმებით ასეთის საშინელის და საზარელის ტკივილის (შუბლზე უჩვენებს). ატანა აქ (გულზე), და აქაც, ადამიანს არ ძალუძს! (დაქანცული და აღელვებული დაიშვება სკამზე).

იდა. რაღა ვქნა ვილჭელმ, რა მოვიფიქრო! მე არც კი ვიცი, რა გითხრა, რა გირჩიო! (შემოდის ბუნწერისა).

XIV

მას. ბუნწერისა. (სწრაფად შემოდის და მივა ვილჭელმთან). ვილჭელმ, გამიგონეთ, ყური დამიგდეთ. იფიქრეთ იმაზე, რაზედაც კუბუნებოდით! ეხლა დროა, თუ კი ოდნავ ჩემი პატივისცემა გაქვთ, გვედრებით დაამტკიცოთ, რომ მართლაც და კეთილი ხართ... მე გთხოვთ ამახ, როგორც დედა, როგორც თქვენი მოკეთე... ეხლა ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული! ვილჭელმ, თქვენ საზარელი საქმე ჩავიდინიათ, თქვენი სინიდისი დამძიმებული უნდა იყოს ამ საშინელის ცოდოთი... ეს-ლა შემთხვევა გაქვთ მოიშორეთ ყოველ-ვე, განსპეტაკდეთ! მე ყველაფერი მოკა-ხერხე... მე მამა თქვენთან ვილაპარაკე! .

ვილჭელმა. (წელში გაიშართება, განცვიფრებული). მა-მასთან! როგორ? მა-მა ჩემ-თან?!

(გაექანება კარებისაკენ და თან თავისი პალტო და ქული მიაქვს).

იდა. (შეშინებული). დედავ, ეგ რა ჰქენი? ვილი, ვილი!

ზარიაზ ბუხნაჩისა. ვილჰელმ, სომ ვაყვაცი ხართ! დავიჯერო რომ ჩვენს მოტყუილებას შესძლებთ? არა, არა! თუ თქვენში კიდევ იდასადმი ოდნავ სიყვარული დგობის...

იდა. (მივარდება ვილჰელმს, მოეჭევა და არ უშვებს). არა, შენ არ წახვალ! შენ არ უნდა წახვიდე! დედავ, თუ ვილი წავა— იცოდე, მეც გავყვები!

ვილჰელმი. რად მიმალავდით, რომ მამა აქ იყო!?

იდა. ჩვენ არაფერი არ დაგვიმალავს შენთვის!

ზარიაზ ბუხნაჩისა. არც მე, არც იდამ, არც თქვენმა დედამ და დამ, არა ვიცოდით— რა! არავინ არ მოელოდა მის მოხვლას... ეს არის, თქვენი მოხვლის წინედ, სრულუბოთ მოულოდნელად შემოვიდა...

ვილჰელმი. მერე თქვენ საიდან იცით, თუ რა იყო ჩვენ შორის?

ზარიაზ ბუხნაჩისა. მე ყველაფერი ვიცი... ვიცი, რა დიდი სევდა გაწევთ გულზე...

ვილჰელმი. მამ თქვენ იცით, რონ მე!..

ზარიაზ ბუხნაჩისა. (თავს დაუქნევს დასტურის ნიშნად).

ვილჰელმი. იდამ კი იცის? ნუ თუ იდამ თავი უნდა შესწიროს იმისთანა კაცს, რომელმაც ხელი... არა, არა, ეგ შეუძლებელია!.. იდა, შენ იცი რამე თუ არა?!

იდა. არა, მე არავიცი— რა! და რაც უნდა იყო, ჩემი ცოდნა— თუ არ ცოდნა აქ არაფერ შუაშია. მე შენი ვიქნები სამარადისოდ!

ვილჰელმი. მამ შენ არაფერი არ იცი? მამ არ იცი, რომ ეს ხელები, რომელნიც შენ გეხვეოდნენ... აი, ეს ხელები... ოჰ, რა საძაგლად მოგატყუილე, იდა!?. არა, მე არ შემიძლიან იმასთან შესვედრა!..

მარიამ ბუხნოვისა. ვილჰელმ, მე ქესმის თუ რა ძნელია თქვენთვის იმის აღსრულება, რასაც მე ეხლა გთხოვთ, მაგრამ, მერწმუნეთ, ეგ უფრო თქვენი სინიდიის დასამშვიდებელი იქნება!.. თქვენ ქედი უნდა მოიხაროთ საბრალდ მამათქვენთან. ემუდარეთ და ევედრეთ მას... ფეს-ქვემ უნდა ჩაუვარდეთ და მუხლები დაუკოცნოთ... ფეხითაც რომ გაგთელოთ მაინც... ნურაფერს ნუ ეტყვით... დაემორჩილეთ! დამიჯერეთ, ამას მხოლოდ თქენი სიყვარული მალაპარაკებს და მარჩევინებს თქვენთვის!..

ვილჰელმი. (სასოწარკვეთილი). თქვენ არ იცით ალბად, სულაც არ იცით, რასაც ითხოვთ ჩემგან, თორემ ცოტათი მაინც შემიბრალებდით! რომ იცოდეთ, თუ რა გამოვიარე ამ სახლში, რა ტანჯვა-წამება, რა გამოუთქმელი სასტიკი ბრძოლა, რა სინიდიის ქენჯნა!.. და ყოველივე ესა მწვდა სულ მამაჩემის აუტანელის ხასიათის წყალობით; სულ იმის სიკერბით! მამაჩემს ერთხელაც არ ჩაუხედნია თავის შვილების სულსა და გულში, ერთხელაც არ გაუგია თავისი ცოლის სულის ობლობა! მაგრამ... არა, არა; მე ვეცდები ადარ მოვიგონო წარსული... მე ბატკანისავით მორჩილი ვიქნები... დიახ, ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, მარტო მე! (დაეშვება სკამზე). თქვენი ნება იყოს, მე ვნახამ მამას.

შ ა რ დ ა.

ფარდის ახდის დროს დარბაზი ასრულებით ცა-
რიელია, სცენაზე ბნელა და სინათლე შემოდის
მარცხენა კარიდან, საიდანაც მოისმის დანა-ჩან-
გლების და თეფშების ჩხარა-ჩხური. იმავე კარე-
ბიდან გამოდის ჯერ ილა და მერე ვილჰელმი.

I

ილა. ნუ გამიწყობები, ვილჰელმ, მაგრამ
მამასთან რაც სათქმელი გაქვს.. აქ ხომ
არ მოუცდი მთელი ღამე?.. შენ თითონ
ადი მის სანახავად!

ვილჰელმი. მამა ძირს კი უნდა ჩამოხუ-
ლიყო?

ილა. რა თქმა უნდა, დედა რამდენსა
სთხოვდა...

ვილჰელმი. (მოეხვევა და გულზედ მიიკრავს).
ჩემო კარგო!

ილა. ვაიმე თმები! რა შეუბოვარი რამა
ხარ, ყმაწვილო, უეცრად რომ ვინმე შე
ძღვესწრებოდა! განა იქნება ასეთი წინ-
დაუხედაობა!

ვილჰელმი. (ერთბაშად გონს მოვა და მოშორ-
დება). შენ ამბობ წინ დაუხედავიო... ეგ
წინდაუხედაობა კი არა, უარესია!..

ილა. კიდევ დაიწყე წუწუნი?

ვილჰელმი. (ხელს მოჰხვევს წელზე ილას და
დადის მასთან ოთახში). სწორედ მართალი
სთქვი, მე შეუბოვარი და წინდაუხედავი
კაცი ვარ!.. მეშინიან, ილა, რომ შენმა
ცდამ ამოდ არ ჩაიაროს? მე ხომ დაუდ-
გრემელი და მოუსვენარი კაცი ვარ... მე

თითონ ძემინიან ჩემის თავისა! აბა წარ-
მოიდგინე ისეთი კაცო, რომელიც თავის
თავს გაურბის და ემალება.

იდა. მე კი ასე მგონია, ნუ გეწყინება
კია, რომ შენ არც გასაქცევი რამე გჭირს
და არც დასამალი!

ვილჰელმი. არა, შენა ხედები, ჩემო იდა.
რობერტს დაჭკვირვებისარ?... შეამჩნიე
რამე?..

იდა. რა? მე არა შეპიმჩნევია რა!

ვილჰელმი. შეამჩნიე თუ არა, როგორც მო-
ქესალმა? აი, რობერტმა კარგად იცის,
რომ მე ჩემს თავს უნდა გავექცე. რობერ-
ტი მე კარგად მიცნობს... შენ რობერტს
ჭკითხე და ის ყველაფერს გაგაგებინებს...
შენ დააკვირდი რობერტს, თუ რა თვა-
ლით შეპყურებს ხანდისხან... იმას ჩემი
დაშინება უნდა!.. ხა! ხა! ზა! არა, ჩემო
ხაყვარელო ძმაო. მე ჯერ არც ისეთი
უბადრუკი ვარ! ესლა, იდა, შენც გაიგებ
რად არა მსურს, რომ შენ ჩემზე უკეთუ-
ხის აზრისა იყო, ვიდრე ნამდვილად მე
ვარ... მე შენთან გულახდილი ვიქნები,
დასამალი არაფერი არ უნდა მქონდეს...
როცა შენ კარგად გამიცნობ და მაინც შე-
გეძლება ჩემთან ყოფნა და არც შეგძულ-
დები... მაშინ მე სელახლად დავიბადები,
ხელახლად შევიმობები ძალ-დონით, გრძნო-
ბა-გონებით!.. დაე ყველა! ზურგი მაჩვენ-
ოს, მე მაინც მტკიცე ვიქნები, რადგან
მეგოდინება, რომ ქვეყნად არის ერთი
არსება მაინც, რომელიც...

იდა. (გულზე მიეკრობა, თითქოს უნდა დაუმ-
ტკიცოს თავისი ერთგულება).

ვილჰელმი. ესლა, ესლა-კი, ხანამ ძამას-
თან ავიდოდე, მინდა ერთი რამე გიამბო...
შენ, ალბად, მიხვედრილი ხარ, რაზე გეუ-
ბნები!

იდა. (თანხობით თავს უქნევს).

ვილჰელმი. მენ ეხლა უნდა გაიგო,—მე ვაძიებდი ჩემს თავს გაიმბო, თუ რა მიზეზით განვმორდით ჩვენ, მე და მამაჩემი ერთმანეთსა... დიანს, იდა, მე უნდა გაიმბო... (დადის ოთახში. იდასთვის წელზე ხელი აქვს შემოხვეული). წარმოიდგინე, ერთხელ ჩამოველ სახლში საწაფხულად... ვერა, მე რიგზე ვერ დავიწყე... მე ცოტა შორიდან უნა დავიწყე... მენ ხომ იცი, რომ მრავალ წელთა განმაგლობაში იძულებული ვიყავი ჩემის შრომით მეცხოვრნა.. მე ხომ ამაზე არათფერი მითქვამს მენტვის?

იდა. არა, არა გითქვამს რა, მაგრამ, გეთყვია, ძრეულ ნუ აღელდები!..

ვილჰელმი. (იდას დასვამს სავარძელზე მარცხენა ხეხარს). იცი, ეს ისეთი საქმეა, რომ... უნდა გამოვიტყდე, რომ მე ჯერაც ვერ გამიბედნია ჩემი წარსულის ამბავი მოგიტონო... და არც გასამტყუნარი ვარ... ეს ამბავი ისეთია, რომ თავის თავსაც ვერ გაუმხელს კაცი... ეჰ, სულ ერთია—ვიტყვი!.. თუ მენტან ვერ გავბედავ ამის თქმას, მაშინ მამაჩემთან როგორ-და შევძლებ ასვლას!

იდა. ნუღარ იგონებ წარსულს!.. მენ უიმისოდაც ძალზე აღელვებული ხარ!

ვილჰელმი. მენ კი გემინიან,.. რა თქმა უნდა, შეგემინდებო, როცა ისეთ რასმე გაიგებ, რომ...

იდა. ნუ ამბობ ეგრე!

ვილჰელმი. მამ ყური მიგდე... მამა ყოველთვის ზემო სართულში სცხოვრობდა. ხანამ დედაჩემს შეერთავდა, სიყმაწვილეში, სულ მარტოდ სცხოვრობდა, თურმე, და ცოლის შერთვის შემდეგაც, ისევ ძველ-

ბური მარტოობა ირჩია... მეზე, ერთხელ, როგორღაც, ჩვენც მოვაგონდით და რობერტისა და ჩემი გაწვრთნა მოინდომა. ავგუსტას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა... დღეში ათი საათობით წიგნებს არ მოგვაშორებდა ხოლმე... მე, თითქოს, ეხლაც ცხადლივ ვხედავ იმ ოთახს, რომელიც ჩვენ საპყრობილედ მიგვანჩნდა... ხომ გინახავს ზემოდ მამის სამიშაო ოთახთან..

იდა. დიას, დიდი დარბაზი!

ვალჰლმი. ჰო, სწორედ, ისა! შევიდოდით თუ არა იმ ოთახში, ჩვენთვის მზევად არ იყო და დღე ნათელიც! აი ასეთ ყოფაში ჩაყენებულნი, ჩვენ უფრო დედას ვეტანებოდით... მამისაგან კი გავრბოდით... რა თქმა უნდა, ამის გამომ სშირი უსიამოვნება იყო ხოლმე დედამამის შორის. დედა ერთ ხელზე გვეწეოდა, მამა კი მეორეზე.. ხშირად საქმე იქამდინ მიხულა ხოლმე, რომ მოსაქსახურე ფრიბეს ძალად ავყავდით მამახთან!.. ბოლოს, ბევრი ჭაპანწყვეტის შემდეგ, საქმე იქამდინ მივიდა, რომ მამამ ორთავე შვილებს ძირს ჩავვიძახა კიბეებზე კინწის კვრით... დანახვაც ვეღარ შეეძლო ჩვენი და ბრაზი მოხდიოდა ჩვენს ხმას რომ მოჰკრავდა ყურს!

იდა. რაც უნდა იყოს მამა თქვენს კეთილი აზრი ჰქონია—შვილები აღეზარდა და რაიმე ესწავლებინა...

ვალჰლმი. ძართალია, ეგ აზრი ჰქონდა, სანამ ჩვენ ბატარები—ბავშვები ვიყავით. ათის წლისანი რომ შევიქენით, მისი კეთილი განზრახვა სადღაც გაქარწყლდა. წარმოიდგინე, დედის კამოსაჯავრებლად, მამამ სრულებით მიგვანება თავი და ჩვენ

უპატრონოდ ვიზრდებოდით!.. ჩვენ რა-
დაც ავაზაკებს და ქურდ-ბაგაცებს დავე-
მსგავსენით... მე კიდევ იმან მისხნა, რომ
მუხიკას მოვკიდე ხელი... რობერტი კი
სრულებით უმწეო იყო... იმ ხანებში ჩვენ
იპდენი რამე ავი დი ცუდი შევითვისეთ,
რომელსაც იქნება საფლავის კარგაპდევ
ვერ მოვიპოვებთ!.. ბოლოს პამამ, სინი-
დისმა თუ დასტანჯა, გადასწყვიტა ჩვენი
მორჯულება და ორნივე დასურულ პან-
სიონში ჩაგვაბარა... როცა, თავისუფლე-
ბას და ლაღობას დაჩვეული, ვერ შევე-
თვისე პანსიონის წეს-რიგს და ერთს
მშვენიერ საღამოს გამოვიპარე პანსიონი-
დან, მამამ დამიჭირა, დაძაჯა და ქა-
ლაქ გაძებურგში აძლამყოფინა თავი, რათა
იქიდან აშერიკაში გაეგზავნა თავისი უვარ-
ვისი და არამზადა შვილი, მაგრამ არამ-
ზადა ისევ გაიქცა და ეხლა კი სამუდა-
ძოდ... მე არ შეუშინდი შიმშილ-გაჭირვე-
ბას და შევუდექი ცხოვრების გზის გაკა-
ფვას... რობერტიც ეგრე პოიქცა, მაგრამ
პამის თვალში ჩვენ ისევ არამზადები ვი-
ყავით... ერთხელ, როცა ჩემმა მუხიკის
უნარმა თავი იჩინა და მე კონსერვატორ-
იაში მივიღეს, მამაჩემს ძღვეთხვე შეე-
წეობა, ხელის გამართვა, პასუხად ღია
წერილი ძღვივიდა, რომელშიაც ორი სი-
ტყვა ეწერა: «ხარაზობა შეისწავლე!..» ასე
და ამ გვარად, იდა, ჩვენ ჩვენის მეცა-
დინეობით და გარჯით, შევქმენით ჩვენი
ყოფა; თუმცა, მართალი რომ ვთქვათ,
მაინც და მაინც საქებური არა გვაქვს-
რა.

იფა. საბრალო, ვილი, რამდენი ტანჯვა
გამოგივლია!.. ეხლა ყოველისფერი მესმის
და თანავიგრობნობ კიდევ. ზომ გჯერა ჩე-
მი სიტყვა? იფი, მე ეხლა, ისე აღტანებუ-

ლი ვარ, ისე როცა... გამოვიტყდები და გეტყვი, ძრეელ მისხარიან, რომ შენ ეხლა სიყვარული გეჭირვება დარდების დასაშუშებლად... მერე როგორ მეყვარები, ვილი! ეხლა მე თითქმის თვალები გამეწილა. მე ეხლა მესმის ჩემი ცხოვრების საკანი... რაც უფრო მებრალები, ვილი, მით უფრო მიყვარხარ და მიხაროიან! ხომ გაიგე, რის თქმაც მინდა—მე განვიზრახე ყველა ის უსიამოვნება და უბედურება დაგავიწყებინო ჩემის სიყვარულით, რაც შენ გამოგივლია!

ვილჰელმი. თუ კი—ღირსი ვარ შენის სიყვარულისა... დამაცა, დამათავებინე ჩემი საუბარი... მას შეძდეგ, რაც გამოვიქნე მშობლიურ ჭერიდან, დრო-გამოშვებით დედის ხანაზავად ჩამოვდიოდი სახლში და ადვილად წარმოიდგენ, თუ რამდენ უსიამოვნებას ვგრძნობდი, როცა ხელ-ახლა ვხედავდი ყოველივე ძველებურს ჩვენს ოჯახში.

იფა. დედა შენი, ალბად, ძრეელ იტანჯებოდა?

ვილჰელმი. ისე იტანჯებოდა, ისე იდაგებოდა, რომ მე განვიზრახე დედამამა სამუდამოდ გაყრილიყვნენ... რა თქმა უნდა, დედა უარზე იდგა, ან იმდენი ძალ-ღონე სად ძოვებოვებოდა!..

იფა. ვილი, ხომ არ აზვიადებ ძამის დანაშაულს?

ვილჰელმი. (ყურს არ უგდებს). ერთხელ, რაღაც სულელობა მომივიდა და ჩემი ამხანაგი ჩამოვიყვანე. ისიც შემუსიკე იყო. დედას ძრეელ ვაუხარდა... მთელი ერთი კვირის განმავლობაში სულ პიანინოზე ვუკრავდით, ხან მე და ხან დედა და ჩემი ამხანაგი... ოჰ, უსლავ თმა მებურძმენება,

რომ მოვიგონებ!.. შენ ეგ შეუძლებლად გეჩვენება, მაგრამ რასაც გეტყვი, ისე სწორეა, როგორც ესლა ძე შენს წინაშე ვდგევარ! არავითარი საბუთი არ იყო, არავითარი ეჭვის მიზეზი, მაგრამ ერთის კვირის შემდეგ მოსამსახურენი ლამის პირში ეუბნებოდნენ დედაჩემს...

იღა. არ მეხმის რას ლაპარაკობ! ვის ან რას ეუბნებოდნენ?

ვილჰელმი. იმასა რომ... რომ... ვითომც დედა... რომ დედაჩემი—არა, შენ წარმოიდგინე ოღონდა!.. ისინი ამბობდნენ, რომ დედაჩემი ვითომც დაუკავშირდა... ვითომ ჰყვარებდა იმ ჩემს ამხანაგს!.. მე მაშინათვე მოახლეს წამოვავლე ხელი და პასუხი მოვსთხოვე. მოახლემ მეჯინიბეზე მიმითითა—მე მეჯინიბეს მივარდი—მეჯინიბე კი წარბ-მეუხრელად მეუბნება, რომ ეგ ამბავი თვითონ ბატონისაგან გავიგონე... რა თქმა უნდა, მე არ დავიჯერე ესეთი ცილის წამება, ან როგორ დაძეჯერა, ან რა დასაჯერებელი იყო!.. მაგრამ ერთხელ, სრულეწით უცაბედად, საჯინიბეში ყური მოვკარ მამაჩემისა და მეჯინიბის საუბარს. იდა, დამიჯერებ თუ არა, რომ გითხრა... როდესაც მამა დედაჩემსე ლაპარაკობდა მეჯინიბესთან, თითქოს თავზეცა დამატყდაო, ისე გავისრისე...

იღა. ღვთის გულისათვის, ვილი, აგრე ნუ დეღავ, ნუ კანკალებ!..

ვილჰელმი. კაცმა ის უნდა გამოხცადოს, რაც მე გამოვცადე, რომ გაიგოს ესა!.. ჩემს ქვეშ თითქოს ქვესკნელი გაიღო და შიგ მთაშთქაო!.. მე რაღაც საზარელსა და საშინელს მდგომარეობაში ვიყავი და ენაღაც კი ვერ მომისაზრებია, თუ როგორ გავჩნდი მამაჩემის ოთახში. მე დავინახე მამა, რაღაცას საქმობდა, კარგად არ მან-

სოვს... მივარდი მამას... და აი ამ სელე-
ბით ვცემე და გავთელე იგი, როგორც
ძაღლი! (ძლივს და სდგას ფეხებზე).

იღა. (აღელვებული და შეშინებული შეჭყუ-
რებს ვილჭელს და მერე აკოცებს შუბლზე).

ვილჭელში. რა სულმნათი ხარ, იდა? ეხლა
კი, თუ გადავსწყვიტე, ყოყმანი ვერას მი-
შველის! (სასადილო ოთახიდან მოისმის ხმაუ-
რობა სუფრის მომზადებისა. ზემოდან კი შოლ-
ცის ხმა... «თუ სადილობაა, მაშ ვისადილოთ!»)

ვილჭელში. (გაოცებული ყურს უგდებს). ადა,
შენ და დედაშენს რაღაც საკვირველებმა
მოგიხდენიათ აქა! (ერთმანეთს სიყვარულით
შეხედავენ, ვილჭელში ხელს ჩამოართმევს მად-
ლობის ნიშნად—იდა მიდის სასადილო ოთახი-
საკენ, მერე ერთბაშად მობრუნდება და ეტ-
ყვს).

იღა. მზნედ იყავ, ვილი! ყაჩაღად! (გა-
დის. ამავე დროს კიბეზე გამოჩნდება ექიმი
შოლცი და ფრიბე).

II აქტი

შოლცი. (კიბეზე). სისულელეა, ფრიბე.
ძარჯვენა ხელით ნუ მიჭერ! თავი დამა-
ნებე-მეთქი! ძომშორდი, ეშმაკს შენი თავი!

ვილჭელში. (თან და თან ღელდება. ფერი ეც-
ვლება, თავზე ხელს მოისვამს, მძიმედ ოხრავს,
იგი უკვე გაქცევას აპირებს, მაგრამ მამის
დანახვა ერთს ადგილას გააქვავებს. ხელს წააფ-
ლებს სკამს და აგრე გაშტერებული გაჩერდება,
თან აკანკალებს და ათრთოლებს. მამა კი წელ-
ში გაიმართება და შვილს გაზომავს თვალით,
ჯერ შიში იხატება მის თვალებში, მერე სიმ-
ძულვარე და ზიზღი. სრული სიჩუმე ჩამოვარ-
დება. ფრიბე შიშით გაიპარება სამზარეულოში;
ვილჭელში ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თავი
დასძლიოს. რალაცის თქმა უნდა, მაგრამ ყელი

უშრება და უხმოდ ჩურჩულებს რალაცას. ხელს დაანებებს სკამს და ბარბაცით და გაუბედავად მიდის მამისკენ. შეჩერდება, კიდევ აპირებს ხმის ამოღებას, მაგრამ ამაოდ—ვერ გასძლებს და მუხლებზე დაეშვება მამის წინ და ხელებს ვედრებით ალაპყრობს. მამის გამომეტყველება გაპოიცვლება: სიმძულვარე გამოეცვლება გაცებაზე, ზიზლი—შეგნებაზე და შებრალებაზე).

შოღვი. ჩემო ბიჭიკო!.. ჩემო კარგო ბიჭიკო! ჩემო... (მოჰკიდებს ხელს და აყვანა უნდა). წამოდექ, წამოდექ-მეთქი! (ორივე ხელს მოჰკიდებს ვილქელმს თავზე და თავისკენ მიიზიდავს).

ჯილქუღვი. (ცდილობს ხმის ამოღებას, მაგრამ არ ძალუძს).

შოღვი. (აკანკალებულის ხმით). რაო... რაო... რას ამბობ? გონს მოდი... დამშვიდდი!..

ჯილქუღვი. მა... მამავ... მე...

შოღვი. (ტკბილად). აბა, სთქვი... სთქვი რაც გინდა! რა უნდა გეთქვა?

ჯილქუღვი. მე ზღნი ... მე შენ... მე...

შოღვი. სისულელეა—სისულელე! ეხლა ნუ ვილაპარაკებთ ისეთს რასმე რომ...

ჯილქუღვი. მე... მე... დამნაშავე ვარ შენთან, ბოროტი ვარ...

შოღვი. სისულელეა, სისულელე! რა საჭიროა ძველი იარის გამიზნება!.. რაც იყო, წავიდა... მხოლოდ ერთს რასმე გთხოვ, ჩემო ბიჭიკო!..

ჯილქუღვი. მაშ ამხადე ეს ცოდო, განმათავისუფლე ამ ტვირთისაგან!..

შოღვი. პატიება, სრული დავიწყება წარსულისა, ჩემო ბიჭიკო, სრული პატიება და დავიწყება ყველაფრისა!

ჯილქუღვი. (დაიკვნესებს). გმადლობ! (გულს შემოეყრება).

შოღვი. რას ამბობ, ბიჭიკო, რაო? რა გე-

მართემა?! (წამოავლებს ხელებს გულშემოყრილ ვილჰელმს და მოასწრობს ახლო სავარძელზე მიტანას და შიგ ჩააწვეხს). ეჰი, ემანდ ვინა ზართ? (შემოვლენ საჩქაროთ ამ ხმაურობაზე იდა, რობერტი, ავგუსტა, მინა შოლცისა და მარიამ ბუხნერისა).

III

მანა შოლცისა.	} დმერთო ჩემო, გვიმვე-
მარ. ბუხნერისა.	
	ნეტა რა მოხდა, რა ამ-
	ბავია?!

იდა. ვილი, ვილი!

შოლცი. დვინო! დვინო—მაღე!

იდა. (გარბის იმ წამსვე და გამოაქვს ბოთლით ღვინო).

შოლცი. (პირში ასხამს შვილს ღვინოს).

ავგუსტა. რა დაემართა?

იდა. (მუხლებზე დაჩოქილი, ეხვევა ვილჰელმს). ყინულისავით გაციებულა. (შოლცს). ზომ არა უჭირს რა... ზომ არ... (ცრემლი წასკდება). მეშინიან... მკვდარსა ჰგავს!

შოლცი. ტსს! (ყველანი გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ ვილჰელმს).

ვილჰელმი. (დაახველებს, წამოინძრევა, თვალებს გაახელს და მერე ისევ დახუჭავს, თითქოს ძილი ერევაო, მერე თავს სავარძელზე დააყრდნობს—თითქოს ჩაეძინაო).

შოლცი. (მალა). დიდგება შენდა დმერთო!

ვილჰელმი. (წამოიწვევა—თვალს მოავლებს ყველას, შემკრთალი ისევ ჩაიძინებს. იდა აცრემლებული და მხიარული დედას მოეხვევა. რობერტი გულ-ხელ დაკრეფილი სდგას და თან ყველას ათვალეირებს. ავგუსტას პირთან მანდილი უჭირავს და ოთახში დადის და თან ვილჰელმს შეჰყურებს. შოლცი და მისი ცოლი ერთმანეთს გადახედამენ რამდენჯერმე, ცოლი აღელ-

ვებით მივა ქმართან და მარცხენა ხელს ჩამო-
ართმევს ჩუმად).

მინა შოღვისა. გმადლომ, ჩემო მეგობარ-
ო...

ავგუსტა. (მივა და ჰკოცნის მამას). ჩემო
ძვირტასო მამილო!

ბონერტი. (ერთბაშად მივა მამასთან და ხელს
ჩამოართმევს).

მარ. შუსნერისა. (იღას მიიყვანს).

შოღვი. (ხელს ჩამოართმევს იღას).

იდა, (ხელზე აკოცებს).

შოღვი. თქვენ აქ დარჩით, ჩვენ კი ყვე-
ლამ თავი უნდა დავანებოთ ავადმყოფს.
(იღას და რობერტს გარდა ყველანი გალიან).

ბონერტი. (სიჩუმის შემდეგ). ბატონო იდა,
იქნება ნება მომცეთ, რომ მე დავრჩე ავად-
მყოფთან!

იდა. (მხიარულად, გაოცებული). ოჰ, დიდის
სიამოვნებით! ვილის დიდი ხანია თქვენ-
თან ლაპარაკი ჰქუროს. (ხელს ჩამოართმევს
და მარცხნივ გავა).

ბონერტი. (სკამს მიიდგამს ვილჰელმის სავარ-
ძელთან და შეჰყურებს მძინარეს. ცოტა ხნის
შემდეგ ამოიღებს თავის ჩიბუხს და უნდა მოს-
წიოს, მაგრამ მოაგონდება რომ ავადმყოფთან
არის და მიანებებს თავს).

ვილჰელმი. (ამოიოხრებს და გამოიხმორება).

ბონერტი. (ნელა და მოწიწებით). ვილ-
ჰელმ!

ვილჰელმი. (დაახველებს—გაოცებით შეჰყუ-
რებს, მერე მიხედება). რა იყო?

ბონერტი. თავს როგორა გრძნობ?

ვილჰელმი. (სიხარულით შეჰყურებს ძმას). რო-
ბერტ, ეგ შენა ხარ?

ბონერტი. დიახ, ეგ მე ვარ—რობერტი...
თავს როგორა გრძნობ?

ვილჰელმი. კარგად! (ახველებს). ესლა უკეთ

ვარ! (უნდა წამოდგეს, მაგრამ ვერ ახერხებს, იღიძება). ნეტა რა მოხდა აქა?

როზორცა. ჯერ დამშვიდდი... ისეთი რამე მოხდა, ვილჭელმ, რაც ყოვლად შეუძლებელი მეგონა.

ჯალაღმი. (მიმხვდარი). დიან, მეც ასე მგონია.

როზორცა. განა შესაძლებელი იყო?.. და წარმოიდგინე, ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა!

ჯალაღმი. ეხლა თან და თან მაგონდება! ოჰ, რა საოცარი და ნეტარი წაბი იყო ეგ შერიგება, რობერტ! (თვალები ცრემლით ემსება).

როზორცა. (ოდნავ აკანკალებულის ხმით). ჩემთვის ერთი რამ არის შეურყეველი: მამაჩვენს ტყუილ-უბრალოდ ვკიცხავდით. ჩვენდა სასირცხვილოდ უნდა გამოვტყუდეთ, რომ ჩვენ სრულებით არ ვიცნობდით, თურმე, მოხუცსა.

ჯალაღმი. მამას? დიან, ჩვენ მას სრულებით ვერ ვიცნობდით და მერე რა უცნაურად მოხდა ყოველივე ეგა. მოხუცს, თურმე, ვუყვარვართ! რა გულ-კეთილი და სათნოიანი კაცია!

როზორცა. ჩვენ კი არ ვიცნობდით დღემდე, რომ ეგეთი იყო! ჭკუა-გონებით კი მე ყოველთვის ვიყავი მიხვედრილი... მე არასოდეს არ ვაბრალებდი მამას შენსა ან ჩემს სიბეჩავეს. დიდიხანია მე გონებით მამას არ ვამტყუნებდი, მაგრამ დღეს კი ეგ პირველად გავიგე გრძნობით და არა გონებით... ეხლა ვნახე, შენ რომ თავს დაგტრიალებდა, თითქმის თავში გრდემლი დამკრესო! ერთი რამ მიკვირს, რატომ ადრე არ იჩინა თავი იმ სათნო გრძნობამ,

რომელიც, უეჭველია, მამაჩემსაც აქვს, შენც და ძეც... ეჭვი არ არის, რომ ამ კრძნობას მამაჩვენი გზას არ აძლევდა არასოდეს... და მეცნია ჩვენც ვმალავდით ამ სათნობებს მრავალ წელთა განმავლობაში!

ჯილჯილში. ჩემთვის ესლა პირველად ცხადი შეიქმნა, რომ ადამიანი, არა თუ სხვანაირად ექცევა ყოველ თავის მსგავს ადამიანს, არაშედეგით თითონაც თავის არსებითაც სხვანაირია ამა თუ იმ დამოკიდებულებაში.

ბობოქცი. მე კიდევ ერთი ვერ გამოვიცა: ეგ სხვა და სხვანაირობა რატომ მხოლოდ ჩვენი გვჭირს! რა არის რომ ჩვენ ერთმანეთს მუდმივ ვიშორებთ?

ჯილჯილში. ამას მე ავიხსნი: ჩვენ გვაკლია სულისა და გულის სიტკბოება—სიკეთე. აი, თუნდ მაგალითად, იდა: იგი ყოველისფერში ცხვრელმყოფელია. იგი არასოდეს არავის არ ჰკიცხავს, პირიქით ყველას თანაგრძნობით ეკიდება. ყველა ებრალება, ეცოდება. ყველაფერს ინდობს. აი ეგ არის პირველი საქმე...

ბობოქცი. (წამოდგება). ესლა როგორ-და ხარ?

ჯილჯილში. ესლა უფრო თავისუფლად ვსურთქავ, უკეთა ვარ...

ბობოქცი. მამ შეგიძლიან მალე გამოხვიდე სავაზმოდ...

ჯილჯილში. კეთილი... მე კიდევ ცოტას... კარგი, შენ წადი...

ბობოქცი. კარგი. (მიდის და ერთბაშად მობრუნდება). გამოვირე, ვილჭელმ! არა, მე არ შემიძლიან არ გამოვხტევა ჩემი აზრი შენ საქციელზე... შენი ქცევა ყოველად მოხაწონია... მე წინად ძრიელ ვიყავი შენს წი-

ნააღმდეგ... თუ გინდა მოურიდებლად გეტყვი... დღეს პირველად ვიგრძენ შენდამი... მე მზათა ვარ ჩემს თავს ჩავაფურთხო... ხომ კმაყოფილი ხარ ეხლა?.. მამ სიკეთე მიყავი და ნუ ჯავრობ ჩემზე.. მე ხომ კარგად მესმის, რომ შენ ურიკოდ გექცეოდით... იმიტომ ვაძაგებ ჩემს თავს და ბოდიშს ვიხდი შენთან... ხომ გაიგე? გესმის?

ვილჰელმი. (კრემლ მორეული). ძმაო! (გადაეხვევიან ერთმანეთს).

რობერტი. (გაივლის მარჯვნივ, ჩაფიქრებული ამოიღებს ჩიბუხს, გასტენავს და აანთებს—მოსწევს და წაიდუღნებს). რა ჯამბაზური სული გვიდგია! (მერე გაეშურება კარებისაკენ და მოუბრუნებლივ იტყვის). მე ეხლავ გამოგვიწავნი იდას (გადის).

ვილჰელმი. გმადლობ, რობერტ! (თავისუფლად ამოისუნთქავს და სიამოვნებით გაივლის ოთახში. მერე შემოდის იდა).

IV

იდა. (გამოვა და მოეხვევა ვილჰელმს). ვილი!

ვილჰელმი. ეხლა ხომ ბედნიერი ხარ, იდა? ოჰ, რა სულმნათნი ხართ? მაინც ხომ შესძელით ჩემი განკურნვა, ხომ განმათავისუფლეთ საშინელის ტვირთისაგან! ეხლა ჩემთვის ახალი ცხოვრება იწყება! მე თითქოს ხელ ახლად დავიბადე, ფრთები შემესხა!.. ეხლა ძალ-ღონესა ვგრძნობ. ეხლა ნურადრისა ნუ გეფიქრება, იდა; მე ჩემს საწადელს მივაღწევ, მე დავანახებ მამაჩემს, თუ რა შეუძლიან მის არამზადა შვილს... მე დავუშტკიცებ, თუ რა ძალ-ღონის პატრონი ვარ და რის შექმნა შემიძლიან... იგი აშკარად დაინახავს ჩემს

ძლიერებას, რომლის წინაშე ყველანი ქედს მოიხრიან! თუ დღემდე ხელ-ფეხ შეგრული ვიყავი, ეხლა კი თავისუფალი ვარ და შენც დაინახავ, თუ რამდენს შევქმნი მე ჩემის ნიჭით და შეცადინეობით.

იდა. აი აგრე სჯობიან! განა ტყუილს გეუბნებოდი, რომ შერიგების შემდეგ გამოცდებლდები-მეთქი... ღმერთო, რა ბედნიერები ვიქნებით, რა ბედნიერები! (ორნივ აღტაცებულნი დადიან ოთახში).

ვილჰელმი. თითქვალს გაწაფხულის სიომ ჩამოებრა ამ გაყინულ ოჯახშიო! (ათვალერებს დარბაზს, ამ დროს შემოდის მინა შოლცისა).

V

მინა შოლცისა. (დაინახავს რა მათ ერთად, უკან აპირებს წასვლას).

იდა. (დაინახავს მინას). არა, არა, დედოღო; გაპარვა როგორ იქნება!

ვილჰელმი. (სიხარულით მიეგებება იდასთან ერთად). დიან, დიან, დედაჩემო, ნუღარ იპარები!

მინა შოლცისა. (ვითომდა უკმაყოფილოდ), არა მე აქ მეტი ვარ!

ვილჰელმი. სანატრელი ხარ. (ვილჰელმი და იდა ძალზე ებღუჭებიან, არ უშვებენ და თან ეხვევიან).

მინა შოლცისა. რას შვრებით, შვილებო, სომ შემომარდვიეთ ყოველისფერი.

ვილჰელმი. მაგაზე ნუ ნადვლობ! ეხლა შენს წინაშე სრულებით სხვა კაცი სდგას! (ჩაუდგება იდას და დედას შუაში და ორთავეს ხელს მოჰკიდებს). მოდი აქ, ჩემო ბებრუნანა! აბა შემოხედეთ ერთი ერთმანეთს... აი, აგრე... ეხლა ხელი ჩამოართვით ერთმანეთსა!

მინა შოლვისა. ძრეელ კარგი.

ვილჰელმი. ეხლა გადაკვრნეთ ერთმანეთი!

მინა შოლვისა. (ტუჩებს გაიწმენდა წინსაფარით). შე ბრეყვო, განა უშენოთ კი ვერ მოვანერხებდით ამას. (სიცილით ჰკოცნიან ერთმანეთს. შემოდის ფრიბე).

VI

ფრიბე. (გამოდის სამზარეულოდან და თან მოაქვს «ფუნში» ქვაბით).

ვილჰელმი. ოჰო, აი ეგ კი მოსაწონია; ფრიბე, კარგი ფუნშია?

ფრიბე. ეხლა მე ფუნშს სრულებით არ გეაზღვებით. ერთი წვეთი რა არის, იმას არ ვიკარებ!

ვილჰელმი. არა, თუ ღმერთი გწამს!?

ფრიბე. მართალს მოგასხენებთ. წინად კიდევ გიაზღვებოდით, მაგრამ ეხლა კი შაბაშ! ეხლა მე მხოლოდ ძირ-მწარე არაყს გიაზღვებით!

ვილჰელმი. სთხოვე აქ გამობრძანდნენ. დღეს დიდი სიმზიარულე გვექნება.

ფრიბე. ეხლავე, ბატონო! (გაღის. იდა და ვილჰელმი შობის ხეზე სანთლებს აჩაღებენ).

მინა შოლვისა. (ზის სავარძელში და სიხარულ-ით შესტკერის ვილჰელმს და იდას). ვილჰელმი, გამიგონე!

ვილჰელმი. (საქმეში გართული). ეხლავე, დედილო! ეხლავე გავათავებთ. (შობის ხე, კაღები, შანდლები და სხვა განათებულია. იდა ახლის მაგიდას სუფრას, რომლის ქვეშ ნობათები შენახული. ვილჰელმი დედასთან დაჯდება).

იდა. (კარს გააღებს სასადილო ოთახში), აბა, ეხლა მობრძანდით! (მინა შოლვისას რიდაცის თქმა უნდა შეილისათვის, მაგრამ ქმრის შე-

მოსვლა დაუშლის. შემოდინან: შოლცი, ავგუსტა, რობერტი და მარიამ ბუნჩერისა).

VII

შოლცი. (ღვინისაგან წამოწითლებული, გულზე სუფრის პირსახოცი ჰკიდია, მითომ და გაცელებული). ახ, ახ, ახ!..

მარიამ ბუნჩერისა. საუფხუცო!

ავგუსტა. (ძალდატანებით იღიმება).

რობერტი. (დადის ჩიბუხით პირში და თან დაცინვით იხედება).

იდა. (მოჰკიდებს ხელს ვილჰელმს და მიიყვანს მაგიდასთან, სადაც ნობათებია). ვილი, კი არ დამცინო! (ქისას აძლევს).

ვილჰელმი. რა ჯიუტი ხარ, იდა—მე ხომ ცთხივ... რომ... გმადლობ, დიდად გმადლობ, იდა!

რობერტი. (გამობერტყავს ჩიბუხს). ამისთანა ქისები დიდხანს ვერ სძლებენ!

მანა შოლცისა. (რომელიც მაგიდასთან მიიყვანა მარიამ ბუნჩერისამ). აბა, რა საჭირო იყო... მე ხომ არაფრით არ შემძლიან მადლობა გადაგიხადოთ... მე არაფერი დამიმზადებია თქვენთვის. (ათვლიერებს ქსოვილ შავ თავსახვევს). ეგ ჩემთვის, ბებრუნანასათვის?.. გმადლობ, დიდად გმადლობ! (გადაჰკოცნიან ერთმანეთს და მინა შოლცისა ჩამოჯდება სავარძელში მაგიდასთან).

იდა. (კრძალვით აძლევს შოლცს თამბაქოს ქისას). ნებას მომცემთ?

შოლცი. (გრძნობით). მე?.. მე?.. ხა! ხა! ხა! მეც, პატარა მოხუცს, პატარა შობის ხის, პატარა ნობათი!! ოჰ, რა კარგი, კეთილი და მშვენიერი ხარ, იდა! (აკოცებს). ხომ მართალს ვამბობ, ვილჰელმ, ხომ მშვენიერია! გმადლობ, ჩემო კარგო გოგონავ, გმა-

დღობ! შევინახავ შენს საჩუქარს, სამუდამოდ შევინახავ!

იფა. მე ბედნიერი ვარ, ექიმო, რომ გასიამოვნეთ... გმადლობთ ჩემისა და ვილჰელმის მზრივაც! ხომ მართალს ვაძობ, ვილი?

ვილჰელმი. (კრძალებით მიიკვრება მამას). ოჰ, ეგოდენი სინარული ერთის საათის განმავლობაში!

შოლვა. (მზრებზე ხელს დაჰკრავს). დიდი სანია დროა, ჩემო ბიჭიკო, დიდი სანია დროა! (დაეშვება სკამზე და ვილჰელმთან საუბრობს).

იფა. თქვენთვისაც მაქვს პაწია ნობათი, ბნო რობერტ, აღვინდ სასაცილოდ აღარ აძიკდოთ!

რობერტი. (შემკრთალი). ანა, რათა, რა საჭიროა!

იფა. მე ასე მეგონა, საცაა რობერტის ჩიბუხი ისე დამოკლდება, რომ ცხვირბირს დასწვავს-მეთქი. აძიტომ შემემბრაღეთ და გუშინ განვიწრაზე თქვენთვის (ზურგის უკან ხელში ეკირა ჩიბუხი, იმას გადასცემს). აი, ეს კვბტა ჩიბუხი მღმეუროთმია... როგორია? (საერთო სიცილი).

რობერტი. (არ ართმევს ჩიბუხს). თქვენ ხუმრობთ, ბატონო იდა! და ესეც არ იყო, მე არ მჯერა, ხუღაც არ მჯერა...

მინა შოლვისა. (გაჯავრებული ვილჰელმს მიჰმართავს). შეუძლებელი ჩასიათის პატრონია.

იფა. ღმერთს ენდეთ, რომ მე აწრად არ მქონია თქვენი წყენა.

რობერტი. საქმე ის არის, რომ მე შევეჩვიე ჩემს ძველს ჩიბუხს და აქას გარდა, თქვენ ხუმრობთ და...

იფა. (თვალეზი ცრემლეზით ემსება და ხმა

უკანკალებს). თუ გი თქვენ აგრე ჰფიქრობ-
დით, მამინ რა თქმა უნდა. (ნობათს მაგი-
დაზე დასდებს).

მარტამ მუხნაჩისა. (აჩქარებით მივა თავის
ქალთან, რათა შესწყვიტოს ეს უსიამოვნო ამბა-
ვი). შვილო, იდა! შენ მგონი დაგავიწყდა...

იდა. რა, დედილო!

მარტამ მუხნაჩისა. ესლა ღროა, რომ და-
ბირებელი შეასრულა...

იდა. კარგი, დედილო, ესლავე, — წავიდეთ.
(ორნივე გადიან მარცხნივ).

მინა შოლვისა. (რობერტს). შენ ხომ არ შე-
გიძლიან რომ კაცს გული არ გაუფუჭო.
(გადავა მარცხნივ და სავარძელში ჩაჯდება).

ვილჰელმი. (დადის ოთახში აღეღებულ და
წამ და უწუმ რობერტს მტრულად შეჰყურებს.
მერე გაჩერდება მარჯვნივ მაგიდასთან და შეჰყუ-
რებს მარცხენა კარებს, საიდანაც იდა და დედა
მისი გავიდა).

ბობოტი. მერე რა იყო? რომ არ მესმის,
რა გინდა ჩემგან?

აკგუსტა. ის იყო, რომ შეგემლო უფრო
თავაზიანად და წრდილობიანად მოქცეო-
დი იდას!..

ბობოტი. (პაუზა). ნეტავ თავს დამანებებ-
დეთ! რა ოხრად შეჭირვებოდა ის რაღაც
ჩიბუხი! (გავა სცენის სიღრმეში და ჩამოჯდება
სკამზე, მარცხნივ კარებისაკენ. უეცრად მოესმის
ყველას სიმღერა და პიანინოს ტკბილი ხმები,
ყველანი ლაპარაკს შესწყვეტენ და თითქოს შე-
შინებულნი ერთი მეორეს გადაჰხედვენ. სიღლე-
რის დროს თან და თან ყველას ეტყუბა და ემა-
ტება აღეღება).

იდა. (ღერის კულისებში).

შუა დამეს საოცნებო,
როს ცით მოგვევლინა დმერთი
ჩვენთა ცოდვათ მოხანანად

მან გასწირა შვილი ერთი.
 ბეთლემს ქრისტე დაიბადა,
 ქვეყნად იქმნა სიზარული...
 შური, მტრობა უკუ ვაგდოთ,
 გაგამეფოთ სიყვარული!..

შოლვი. (რომელიც ნაწყენია რობერტის უხერხულის საქციელით, გაიგონებს თუ არა მუსიკას, აქეთ-იქით იმზირება მტრულად, თითქოს ეს არის, ვილაცამ უნდა უმტყუნოს და მიტომ ყველასაგან მოშორებით არის).

მინა შოლვისა. (სიმღერის შუა ადგილას ცრემლი მოერევა და ქვითინებს). ოჰ, რა საუფხევლაა!!.

რობერტი. (აღელვებული გადადგამს რამდენსამე ნაბიჯს სიღრმეში). აბა, ამის შემდეგ მეტი არა დაგვრჩენია-რა. (ისევ დადის და დაცინვით იღიმება. როცა ავგუსტასთან გაივლის რალაცას ჩუმად ეტყვის).

ავგუსტა. (რომელიც ყურს უგდებს სიმღერას, გაბრაზებით მოიშორებს რობერტს).

ვილკლმი. (აღელვებული თითებით არახუნებს ხტოლზე. რობერტის ქცევა აშფოთებს).

რობერტი. (მუსიკა მასზე საშინლად მოქმედობს და რაკი ვერას ამბობს, უფრო ანჩხლობს. სიმღერის დასასრულ-მის ბაგედგან გამოქრის სიტყვები, რომელნიც ალბად დასასრულია უკვე სათქველად განზრახულის საუბრისა) თვალთმაქცობა და ტაკი მასხარობაა!! (მისი სიტყვები მწარეა და კილო გესლიანი. ყველანი წყენით შეხედავენ რობერტს. ლაპარაკი წერილის ხმით არის). —

მინა შოლვისა და ავგუსტა. (ერთად). რობერტი!!.

შოლვი. (თავს იმაგრებს ბრაზისაგან მოხლევა-ვებული).

ვილკლმი. (ბრაზისაგან გაფითებული გაიწევა რობერტისაკენ).

მინა შოლვისა. (გადაეღობება ვილჰელმს და მოეხვევა ვედრებით). ვილჰელმ, ღვთის გულისათვის. ჩემი გულისათვის!..

ვილჰელმი. (უკან მობრუნდება). კარგი, დედილო, კარგი! (აღელვებული ოთახში დადის და თავს იმაგრებს მორეულ სიბრაზისაგან. ამავე დროს იწყება სიმღერის მეორე ხანა).

იღა. (სიმღერას ისევ იწყობს).

ქრისტემ მონობა უარჰყო,

დამყარდა თავისუფლება,

სათნო კაცი დღეგრძელია.

ბოროტი კი იღუპება!

ვილჰელმი. (ძალზე აღელვებული მიდის იმ ოთახისაკენ საიდანაც სიმღერა).

მინა შოლვისა. (გზას ულობავს). ვილჰელმ რას აბირებ?

ვილჰელმი. (ბრაზ მორეული). სიმღერა უნდა შესწყვიტონ!

აგუტკა. სწორედ გაგიქდა! სად მიდინარ? (გზას ელობება).

ვილჰელმი. (უნდა მოიშოროს). თავი დამანებეთ-მეთქი, უნდა გაჩუმდნენ, სიმღერა შესწყვიტონ!

მინა შოლვისა. ღვთის გულისათვის! თუ არ დაიშლი, რაც გინდა ის ჩაიდინე, ოღონდ მე კი ამ საღამოიდან ველარ მნახავ!

როზოტა. თავი დაანებე, დედავ; როგორც უნდა ისე მოიქცეს!

ვილჰელმი. რობერტ, გირჩევ უკიდურეს ზომამდე ნუ მიმიყვან. იმ გრძნობიერი სიტყვების შექმნა, რაც შენ ამახ წინად ჩემს წინაშე გადაშალე, ეხლანდელი შენი საქციელი მით უფრო საზიზღარია!

როზოტა. მე შენ სრულებით გეთანხმები! სრულებით!

ვილჰელმი. (ისევ ოთახისაკენ მიეშურება).

მინა შოლვისა. (ისევ შეაყენებს). დმერთო

ჩემო; აბა დაფიქრდი, რას ჩადისარ? ხომ აწყენინებ!?

ჯილქალში. მე იმათ ჟგერძალავ, გავაჩუმებ, რადგან თქვენ ყველანი ერთად შეყრილნი, არა ღირსართ იმის სიმღერად.

ბობორცი. (შეუტევს ვილქელს და მოურიდე-ბლად შეპყურებს). ჩვენ თუ არა ვღირვართ, მარტო შენ ხომ, რა თქმა უნდა, ღირსარ!!

მინა შოლვისა. რაო, კიდენ ძველებურად დაიწყეთ?!

ჯილქალში. არა, ისინი უთუოდ უნდა გაჩუმდნენ!

მინა შოლვისა. შვილებო, შვილებო! (იწყება მესამე ხანა სიმღერისა).

იდა. (სიმღერის მესამე ხანას იწყებს).

ვითარ ვაქოთ და ვადიდოთ
ჩვენი ქრისტე მაცხოვარი,
ის გვანიჭებს ცხონებასა,
მან გაგვიხსნა ზეცის კარი;
მას ვევედროთ, მას ვემონოთ,
ამ დიდებულ შობის დღესა,
ვინც სათნოა და კეთილი,
მას უქადის სამოთხესა!

ჯილქალში. ოჰ, რა საძაგლობაა, რა სულ-მდაბლობაა!.. პატიოსნებას ვფიცავ, მე თქვენ მაგიერად ვწითლდები!

ავგუსტა. (ნაწყენი). მართლაც და არც ისეთი საძაგლები ვართ!

ჯილქალში. ავგუსტა, რომ შეიგნებდე თუ რა საძაგლები ვართ!

ავგუსტა. ეხლა მე უნდა გამქელონ! ჩემისთანა უხეირო ხომ არავინ არის ქვეყანაზე. სულ სხვა საქმეა იდა!

ჯილქალში. (გაანჩხლებული). ნუღარ ჰბედავ ამ საზელის ხსენებას!

ავგუსტა. ხომ არ გაგიყდი? პირს ხომ არ

ამიკრავ... მართლაც და რა იყო? რა ამბავია? ციური ანგელოზი ხომ არ არის?

ვილჰელმი. (ყვიროს). ხმა, კრინტი-მეთქი!

ავგუსტა. აბა, შენ რა გელაპარაკო, როცა შეყვარებული ხარ! (ზურგს შეუქცევს).

ვილჰელმი. (წაავლებს ხელს მხრებზე). გომბიო! მე შენ გაჩვენებ!..

როზერტი. (ხელს წაავლებს ვილჰელმს და მკაფიოდ ეტყვის, მკაცრად). ვილჰელმ, შენ გეტყობა ხელახლა გინდა დაიწყო!..

ვილჰელმი. ოჰ, თქვე საძაგლებო!

ავგუსტა. და მაგას შენ ამბობ? შენა, რომელმაც მამაზე ხელი ადიდე...

ვოლფი. (გაბრ.ზებული, ბრძანებით). ავგუსტა, გადი აქედან; ამ წუთშივე გაეთრიე აქედან!

ავგუსტა. რათა? რა ჩავიდინე ისეთი?

ვოლფი. ეხლავე გაეთრიე. ეხლავე, ამ წუთშივე!!

მინა ვოლფისა. დიქერთო, როდის მომამორებ აქაურობას!.. ავგუსტა, ხომ გაიგე მამაშენის ბრძანება? რატომ არ ემოწი-ლები?!

როზერტი. (რომელიც ზის მაგიდასთან მარცხენა მხარეს). რაო, დედა ჩემო! რას ჩააფიგდით ავგუსტას... მართლა, ეხლა ბავშვი ხომ არ არის; ღვთისით, ეხლა დროებაც გამოიგვალა ცოტათი!

ვოლფი. მაგრამ მე კი არ გამოვცვლილვარ... ამ სახლში მე ვარ ბატონი!

როზერტი. სასაცილო კია?!

ვოლფი. (ბრაზ მორეული). ავა-ზა-კებო!! არამზადებო!! მე თქვენ გიჩვენებთ, მე თქვენ ქუჩაში გაგყრით!

როზერტი. სამწუხაროა, სასაცილო რომ არ იყო!..

ვოლფი. (შეიმაგრებს ბრაზს და მრისხანე შვილობიანობით იტყვის). ან შენ, ან მე, ეს სახ-

ლი ეხლავე უნდა დავტოვოთ! ეხლავე, ამ წუთშივე!

როზოცვი. (წამოდგება და გასასვლელისაკენ მიდის). რა თქმა უნდა მე გავალ და დიდის სიხარულით წავალ!..

მინა შოლვისა. (ვედრებით და თან ბრძანებით). რობერტ, შენ აქ დარჩები!

შოლვი. არა, ის აქედან წავა!

მინა შოლვისა. ფრიც, გამიგონე! მხოლოდ რობერტმა არ დამივიწყა... მრავალ წელთა განმავლობაში მხოლოდ რობერტს არ დავვიწყებოვარ, ერთად ერთი მხოლოდ ის იყო!..

შოლვი. ან ისა, ან მე!

მინა შოლვისა. განა არ შეიძლება ისე ძლიერ კრძდეს რომ ერთგვანი აქ იყვნეთ? განა...

შოლვი. მაშ კარგი, მე წავალ! მე უნდა დაგმორჩილდეთ... შენ და შენი არამზადების ბუნაგი ყოველთვის იმარჯვებდით ჩემზე!..

ჯილჯილში. (მამისაკენ გაიწეეს). მამილო, შენ აქ დარჩი! და თუ მაინც და მაინც წახვალა განიზრახე, მაშინ ერთად წავიდეთ.

შოლვი. (უნებლურად უკან იწეეს შიშით და ბრაზით). თავი დაქანებე, შე არამზადავ! (დაეძებს თავის ბარგს). არამზადებო და ქურდებო!.. თქვე სამაგლებო!

ჯილჯილში. (გაანხლებით). მაშავ, შენ ხელახლად გვიწოდებ ისეთს სამარცხვინო სახელებს.. შენ, რომელიც თავი და თავი მიზეზი ხარ ჩვენს ასეთს... არა, მამილო, მე გვ არ მინდოდა მეთქვა... მე თან წამიყვანე, მეც შენთან ვიქნები, რომ მოვიწინიო ჩემი ცოდო! (მამას მხარზე ხელს დაადებს).

შოლვი. (გაბრაზებული, შეშინებული უკან მოშორდება). თავი დამანებე-მეთქი. მე კარგად ვიცი ყველა ჩემი მტრების ოინები და

ჯანრაკები! განა თქვენ ვაუკაცები ხართ? მე... ჩემზე იძიებთ შურს? ჩემზე, რომელიც ასე დაუძლურდა.—იქნება ბევრი დანაშაული ძიმიძღვის, მაგრამ... მე მაინც... მე ხომ მაინც... მე...

ჯალალში. მამავ, მამილო! რა გემართება! გონს მოდი!

შოღვი. (მიდის კიბისაკენ და დუღუნებს). მე ყოველთვის მტკიცე ვიყავი, მე ყოველთვის... მე ყოველთვის... მე...

ჯალალში. (მოეხვევა რომ გააჩეროს). მამავ, დამშვიდდი! გონს მოდი!..

შოღვი. (თავს იცავს და შიშისაგან ვედრების კილოთი გაიძახის ბავშვისავით). ნუ შცემ, ნუ... ნუ გამლანავ!.. ნუ მცემ!.. ნუ...

ჯალალში. დვთის გულისათვის, მამავ, დამშვიდდი!

შოღვი. ნუ გამლანავ! არ გაბედო ჩემი ცემა! ნუ მცემ ხელ-ანლად!.. (ცდილობს მოიშოროს ვილჭელში).

ჯალალში. დაე, გახმეს ეკ ხელი, მამილო! დვთის გულისათვის, მაგაზე ნუ ფიქრობ, დაივიწყე ყოველისფერი! მამავ, მამილო! შენ მაგაზე ნუ ფიქრობ!

შოღვი. (თავს დაახწევს) მიშველეთ, მიშველეთ!

ჯალალში. (თან მისდევს). შენ მცემე! შენ დამკარ!!

შოღვი. მიშველეთ, მიშველეთ! დვთის გულისათვის, მიშველეთ! (გაიქცევა ზემო სათულში, მას მისდევენ ყველანი, ვილჭელმის გარდა).

ჯალალში. (მიეყრდნობა კარებს და ქვითინებს). ღმერთო! ეს რა მომივიდა? ეს რა ჩავიდი-ნე! (შემორბიან მარიამ ბუნწერისა და ილა).

VIII

მარიამ ბუნწერისა. (შემორბის). ღმერთო ძლიერო! რა ამბავია, კიდევ მოხდა რამე? (გარბის ზემო სათრულში).

იდა. (შემორბის ფერ-მიხდილი). გული რადა-
ცხას მიგრძნობს! ვილი! რა გეპართება, რა
იყო?

ვილჰელმი. არა, არაფერი! სრულებით არა-
ფერია! მე მინდოდა ისევ ჩემს მარტოობას
მივცემოდი! ჩემისთანა უბედურ კაცს—
მარტოობა-და დარჩენია!

იდა. რას ამბობ? არა გამეგება-რა, არა
მესმის-რა!

ვილჰელმი. (მკაცრად და ანჩხლად, გადადის
მეორე მხარეს). რა თქმა უნდა, არ გაგეგება
და არა გესმის რა! ეგ ძველი ლექსია, ჩე-
მი დედ-მამაც მთელი თავიანთი სიცოცხ-
ლე სულ სხვა-და-სხვა ენაზე ლაპარაკობ-
დნენ!.. შენ ჩემი არა გაგეგება-რა, არა
გესმის-რა! ან, რა თქმა უნდა, შენ ოცნე-
ბით ცხოვრობ, მე კი... არა, ხანამ არ გან-
ვიკურნები, მანამ მე შენთვის ყოველთვის
გაუგებარი ვიქნები!

იდა. (ჯერ გაოცებულია და მერე ტირის).

ვილჰელმი. (ჯდება). ესლა ხომ ხედავ ნამ-
დვილს ჩემს სახეს... შენ ტირი ესლა...
ისევ ესა სჯობიან, ვიდრე მერე მთელი
შენი სიცოცხლე ცრემლსა ღვრიდე... არა,
იდა, ჩვენ შორის ყველაფერი უნდა გათავ-
დეს. ეგ ჩემი შეურყეველი გადაწყვეტი-
ლებაა!

იდა. (ეხვევა). არა, არა, ეგ შეუძლებელია!

ვილჰელმი. შენ ოღონდ გაითვალისწინე
ყოველივე ის, რაც აქ ნახე! ნუ თუ ჩვენც
ასეთი კერა და ოჯახი უნდა დავაფუძნოთ!?

იდა. ჩვენი კერა და ოჯახი უკეთესი იქ-
ნება.

ვილჰელმი. ეგ ღმერთმა უწყის!

იდა. მე მაგას გულითა ვგრძნობ!

ვილჰელმი. იდა, განა კერა ხედავ, როცა
უფსკრულში მომყვები!

იდა. შენ ოღონდ ხელი მომეცი და მე
არაფრისა არ მეშინიან!

ვილჰელმა. იდა, უარი სთქვი ჩემზე... ნუ გინდივარ... შენ ზომ პირველად შეგიყვარდა კაცი და ეგ პირველიც მე ვარ... ეხლა შენ ოცნებობ! შენ კი ჩემთვის პირველი როდი ხარ! მე ყოვლად გაფუჭებული და გარყვნილი კაცი ვარ! ჩვენ აქ ყველანი ავადმყოფნი ვართ, გესმის, ავადმყოფნი!

იდა. მაგრამ შენ მაინც ჩემი ხარ, ჩემი! (ეხვევა ცრემლიანი).

ვილჰელმი. მე შენი ღირსი არა ვარ, იდა!..

იდა. მაგას ნუ ამბობ, ვილი! მე უშენოდ ვერ გავძლებ! ნუ მართმევ შენს ხელს, შენს ამხანაგობას!

ვილჰელმა. (რბილად). იდა! (ეხვევიან და ჰკოცნიან ერთმანეთს).

იდა. ეხლა შენ სიტყვა უნდა მომცე, რომ...

ვილჰელმა. გეფიცები, რომ დღეიდან... (სიტყვას აწყვეტინებს უეცრივი კივილი ზემო სართულიდან. იდა და ვილჰელმი ერთმანეთს გადახედავენ).

მინა შოლცის ხმა. ქმარი მიკვდება! ჩემი კეთილი, ჩემი ძვირფასი ქმარი მიკვდება! ოჰ, ოჰ! (ჩამორბის ფრიბე კიბეზე კალათით და მალე სამზარეულოში მიიმალება).

ავგუსტა. (ქვითინით ჩამორბის ზევიდან. ვილჰელმთან გაჩერდება, ცრემლები აღჩობენ). ვისი ბრალია ესა, ვისი? ანა სთქვი, ვისი ბრალია? (ეშვება სავარძელზე ქვითინით. ზევიდან მოისმის ტირილი მინა შოლცისა).

ვილჰელმი. (დაბნეული). ავგუსტა!.. დედა! რა... რა მოხდა, რა ამბავია?!

იდა. (გულში ჩაეხუტება და თითქოს ამშვიდებდეს). ვილი, ვაი თუ უკვე ყველაფერი გათავებულა!

ვილჰელმი. (გაეშვებინება იდას და გარბის ზევით). მამავ! მამავ!..

იდა. (მიხედვს). ვილი!

~~ავგუსტა~~